კაეა ეტრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ვაჟა ეჭრისელი

# კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

ტომი 20

2020

მთ. რედაქტორი **ოთარ მიქიაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-827-4 (20 ტომი)

* * *

**ვაჟა ეგრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ეგრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ეგრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აგრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ეგრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – გილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

## პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუს-თველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შევა-დარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „ბაჯაღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვა-ჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არესის ჭალაში მდგა-რი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარ-გული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტო-ტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „გონის“ მაგიერ თავისი „კოლ-ხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებე-ბით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟ-რაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

**გულნაზ ხარაიშვილი**
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

**„გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“**

**ა. პუშკინი**

## წინასიტყვაობის მაგიერ

(გაგრძელება)

უნდა ითქვას, რომ ზღვა პოეტისათვის სიყვარულისა და აღმაფრენის დაუშრეტელი წყაროა. უფრო მეტიც, იგი პოეტის სატრფოა და ეს სიყვარული წმინდაა და უანგარო, თავანკარა ვით წყაროს წყალი.

„ნანას რომ მიმღერს ხობისწყალი
დედაა ჩემი,
უფროსი და გახლავთ ფაზისი.
ხოლო დღე და ღამ შესახვედრად რომ
მოისწრაფის
და მოლოდინში ასე რომ ღელავს
ზღვა –
ჩემი სატრფოა ულამაზესი“.

ასე შესაშური მეტაფორული აზროვნება გრძელდება უსასრულოდ... და საქართველოში დადის პოეზიის ღმერთკაცი, რომელსაც თამამად შეუძლია განაცხადოს:

„გარდასულ დროთა ვარ მოგზაური,
როგორც კასტელი, როგორც შარდენი.
იმერ-ამერი რა კარგია, რა დიდებული,
და წარსულიდან გადმონადენი
დიან დღეები –
სიყვარულით ადიდებული“.

„მუზით მონუსხული პოეტი, როგორც ბატონი ელგუჯა ამაშუკელი ბრძანებს, – მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრება და სხვათა საამებლად არ ეძებს განცდის სიმართლეს“. ის სულში აღმოცენებულ კითხვებს პასუხობს და იმ მელოდიებს უსმენს, მის არსებაში სტიქიურად რომ იბადებიან:

„აიმღვრა სივრცე ათასწლეულთა,
გამოჩნდა არგო –
ლეგენდიდან თუ ძველ მითიდან.
და ჩემს კოლხეთში შეიცვალა უცებ
ბუნება.
და თმებგაშლილი ტალღა ზღვიდან
ამოქვითინდა,

არ ვიცი რატომ, ის მედეას ვცან დაბრუნებად“.

ყველა ლექსი, რომელიც დაბეჭდილია წიგნში „იქმენ ნათელსა“ და „კოლხურ ფსალმუნებში“! ეგრისელის პატრიოტული გრძნობის ნამდვილი სულიერი აპოგეაა. და იმისათვის, რომ კიდევ უფრო მძაფრად გვაგრძნობინოს სამშობლოსადმი სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა, კვლავაც არაერთხელ შეგვახსენებს მითოსურ გმირებს: ორფეოსს, ჰელიოსს, ჰეკატეს, ნარცისს, ჰეგასს, ფერიებს და სხვა ბევრ პერსონაჟს.

მითოსი ასაზრდოებს ვაჟა ეგრისელის პოეტურ ხილვებს და პოეტი მკითხველის მზერას წარსულისაკენ მიაპყრობს. გადაუშლის წარსულის სულისშემძვრელ სურათებს და ამავდროულად ნათელი მომავლისათვის ბრძოლის დიადი სურვილითაც მსჭვალავს:

„დამტოვე...
ცრემლის ბილიკს მიჰყვები,
ვითარცა მნათი ბნელით მოსილი,
დაკარგულ კოცნას ულურჯესი უტირის ბაგე.
ზღვას მოუდრეკავს
ცისარტყელა
ორფეოსივით
და აწკრიალებს განშორების

მწუხარე ჰანგებს“.

აქ გულწფელობის ჰეროიზმია, რომელიც შეიძლება იყოს ისეთი სულიერი წყობის კუთვნილება, რომელიც განშორებას აღიქვამს ცრემლით მორწყული ბილიკის დრამად. მაგრამ ზღვას ცისარტყელა მოუდრეკავს „ორფეოსივით“ – ეს უკვე ჭეშმარიტი ქრისტიანული სულიერი მაქსიმალიზმია, აწრიალებული განშორების მწუხარე ჰანგებით, მაგრამ იმედითა და ხვალინდელი ნათელი დღის დიადი რწმენით აღსავსე და ასე გვეფინება ცისარტყელა სიყვარულით ანთებულ სულს. ის გრძნეულივით დგება ჩვენს შორის, გვადებს ხელს, გვეფერება, გვამხნევებს და გარდასული სიყვარულის ხსოვნითა და ხელახალი გამობრწყინების იმედით გვავსებს.

ჰელიოსი – ნათლისგვირგინიანი მზის ღმერთია, რომელსაც ვაჟა ეგრისელი დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით მიმართავს – კვლავაც ჩვენს შორის სიყვარულით გულანთებული დადგეს:

„...წარსულის ტრამალს –  
შენი ეტლი გადმოაქროლე  
და სიყვარულით ისევ მოგვხედე –  
ეჰეი, ჰელიოს“!...

პოეტი მოვლენების, ეპოქის არსს ხატავს ტიპის, პიროვნების დონეზე ადამიანთა ბედის ჩვენებით, ხსნის მათ ადგილს ცხოვრებაში და არა უბრალოდ სულიერი წყობისა და მატერიალურ-წარმოებითი პირობების მექანიკური შენაერთით და იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის სულის უღრმეს ლაბირინთებში შეღწევას, პოეტი თავის საუფლოშია, ფიქრისა და განცდის ფესვი ცხოვრებისეულია, რეალური, ღრმა და ლამაზი.

ვაჟა ეგრისელის ლექსი „მეგრული ნანა" პირველყოფილი სილამაზითა და ადამიანის შეურყვნელი განცდებით ღაღადებს. აქაა პოეტის გასაოცარი ლტოლვა უბრალოებისაკენ, სიმარტივისაკენ. ეს ლექსი განუმეორებელია თავისი ესთეტიკური გამომსახველობის ძალით. არც ერთ პოეტს ასე მკაფიოდ და ხატოვნად არ უთქვამს ქართული ნანა. ასე მგონია პოეტი თავის სიცოცხლეს გაზაფხულის ფოთლებივით ლექსებში აბნევს და ამით მარადიული სიცოცხლისაკენ ისწრაფვის. რამეთუ მართლაც:

„ფაზისის პირას თქმულებით და მზით
მოყვავილე –
ჰეკატეს თეთრი ბაღი მეგულვის,
სად ღამის ტოტზე ფორთოხალი –
მთვარე ქანაობს...
და ბაღის იქით ტიალ გზაზე „ნანა" მეგრული

მიდის მარტოკა...
მიფერმკრთალობს და მინანაობს“...

დედათა მოწყალე, მფარველ ღმერთ ჰეკატეს სითბოთი და სიკეთით აუვსია ფაზისის სანაპირო. მის მიერ გაშენებულ თვალწარმტაც თეთრ ბაღებში ქართველი დედები ჩვილს, ნანასთან ერთად სამშობლოს სიყვარულის უტკბილეს ჰანგებს დამღერიან. დიახ, მეგრული ნანა უკვდავების გზაზე „მიფერმკრთალობს და მინანაობს“.

ვაჟა ეგრისელმა საოცრად ლამაზი სურათი დაგვიხატა, როცა:

„ციცქნა ტალღები, ვით ფერიები,
ჭყუმპალაობენ ლამაზ ნაპირთან,
იქვე გუბეში მთვარე ეგდო ვით ცხენის ნალი,
(გარდასულ ჟამთა აჩნდა შრეები).
ვესროლე კენჭი და შეკრთა წყალი
და გაიფანტა შიში წრეებად“.

მართალი, გადამდები განწყობილებაა, ფერიები კიდევ უფრო ჯადოსნურს ხდიან ზღვაზე მოლივლივე ტალღებს და ამ სურათს კიდევ უფრო საოცარ ელვარებას მატებს გუბეში ცხენის ნალივით ჩაგდებული მთვარე, რომელიც გარდასულ დღეთა ცოცხალი მოწმეა.

მითიური ფერიების შემოყვანამ და მგოსნის პოეტურმა ოსტატობამ არაჩვეულებრივი მეტაფორული სახეებით მოგვხიბლა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ ჭეშარიტებაში, რომ პოეტი მოგონებათა პროვოცირების ჭეშმარიტი დიდოსტატია.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ტკივილის პოეზიაა. მაგრამ ამ ტკივილს უიმედობის პირქუში მხარისაკენ როდი მიჰყავს მკითხველი: მისი ადამიანური ტკივილი იმედის სინათლიდან გვესაუბრება და არა სასოწარკვეთილების ბურუსიდან... ეს ტკივილი, შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს გააჩნდეს, უკეთესი დღეების მოლოდინს აღძრავს და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებს, რომ ადამიანისათვის არაფერია შეუძლებელი.

ვაჟა ეგრისელისათვის მოვლენები არ არსებობენ თავისთავად, ზოგადად, აბსტრაქტულად, იდეაზე უფრო საყვარელი, ახლობელი და მისაღებია ადამიანი. ამიტომ მას შეუძლია მიტოვება, უარის თქმა, გულიდან მოწყვეტა, მას შეუძლია განშორება, განაწყენება, გულისტკენა. მის პოეზიაში ყველაზე დიდი ფასეულობები სწორედ ეს განცდები, ეს პროცესებია. არც ერთი პოეტური ხატი რაღაც განყენებული იდეიდან, მყარი გათვლილი მიზნიდან არ ჩნდება. არამედ ამოდის გულიდან. მგრძნობელობითი წიაღიდან, სიხარულიდან, აღტაცებიდან, სიკვდილიდან, ტკივილიდან, განცვიფრებიდან.

პოეტმა იცის, რომ მამულისა და მისი ზღვის სწორფერი და ღირსი არაფერია ამქვეყნად. ამიტომაც პოეტის მძაფრი სურვილია ზღვამ სამარადისოდ უკვდავყოს მისი სახელი:

„მე შენში ვცოცხლობ
და რომ დაგტოვებ,
გავყვები ღრუბლებს...
„მოცარტივით მეც მოვირთვები
და წავალ ქარში"...
და ჰე, ზღვაო,
შენებრ დამსაჯე:
უმაღლეს ძეგლად –
ულურჯესი შენი
ზვირთები –
მე მეკუთვნის და...
აღმიმართე
დღეში ათასჯერ..."

პოეტს აქვს არაერთი ლექსი, სადაც ზღვას კი არ ესაუბრება, არამედ მკითხველს უშლის გულისნადებს და საუბარს წმინდა ინტიმური სურათის დახატვით იწყებს:

„ჩემმა პირველმა სიყვარულმა –
ზღვამ მიღალატა,

ვნახე გრიგალებს ვნებიანი ქვეშ
როგორ ეწვა.
და ახლა დაღლილს –
დაუკრიფავს ხელები გულზე.
ხოლო უფალი ცის სარკეში
თავისთავს უმზერს:
შიშველ ფეხებით ზელს თიხას და
ჩემს სახეს ძერწავს“ –

ამ ლექსში მართლაც პოეტმა შეუძლებლად აქცია და ძალუმად გვაგრძნობინა პოეზიის სასწაულებრივი ძალა.

ერთ ლექსში ვაჟა ეგრისელი ამბობს:

„დილით მოვარდნენ
შმაგი ქარები,
ცაზე ღრუბლები გაფინეს და
ოდნავ გაწურეს.
ზღვა, ვით მიჯნური,
სიცხიანი წევს,
არარაობს.
სანაპირო კი როგორც ქალწული
ეფერება და უნანავებს
ჩრდილთა მარაოს.“

(„ივლისი ზღვაზე“).

ეს ჭეშმარიტად შთამბეჭდავი სურათია. პოეტს ზღვის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. ვაჟა ეგრისელი ზღვის ნამდვილი მოგზაურია და არ აშინებს ზღვის ღელვა, მადლობელია უფლის, რამეთუ მაინც:

„მრისხანებს ზეცა:
კვლავ გაწყვიტა ქარმა
ალვირი
და მაცნეებად გულამღვრეულ
ზვირთებს არიგებს.
ძრწის და ირყევა მთელი პლანეტა.
მივყვები ღელვას...
მადლი უფალს და არსთგამრიგეს,
მარგუნეს ბედი მოგზაურთა და მენავეთა“.

პოეტის ეს ლექსი ლოცვა უფროა, სულის შრიალი, ათასფერად გადმოფეთქილი მზის ღიმილი...

აქვე ნიშანდობლივად მიმაჩნია ორი საინტერესო ლექსის მოტანა:

„ულამაზესი სიცოცხლის ნგრევით,
როცა დავტოვებ
სატრფოს გულითადს,
მრავალ ქარიშხალ გამოვლილი
დაღლილი გემი,

როდესაც გავალ
ამ ცხოვრების ნავსადგურიდან,
ზღვა არ იქნება წყნარი
და მშვიდი
და როცა ჩუმად დამიტირებს
მწუხარე ბედი,
სამარე ჩემი აღარ გაჭრათ
მწუხრის მერქნებად...
ზღვაში მისროლეთ...
სასაფლაო ყველაზე დიდი
პოეტებს შორის – მე ერს მექნება“.

*

„მოულოდნელად აფეთქდა გული,
გული კი არა,
მაღალ მკერდში
ნაღმი მდებია,
რადგან მოსვლიდან ბედთან თამაშს
აღარ იშლიდა,
მწამს, ჩემი ზღვები
უჩემობას აბღავლდებიან.
მათ თქვენ გიტოვებთ
მოეფერეთ და დაამშვიდეთ“.

ვაჟა ეგრისელის სული და გული მეტაფორაა. პოეტის მთელი ცხოვრება ლექსებია, წიგნებია და

ლამაზი დღის მოლოდინია... მკითხველმა იცის, რომ ვაჟა ეგრისელი თავისი შემოქნედების შუა გზაზეა და ის მისგან მრავალ ღირშესანიშნავ შედევრს ელოდება.

„მხატვრული აზროვნების მარგალიტები ვაჟა ეგრისელის პოეზიას რომ ამშვენებენ, რამდენიმე თანამედროვე პოეტის შემოქმედებას ეყოფოდა, და... მიგვაჩნია მისი პოეზია ჩვენი თანამედროვე დიდი პოეტის – შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების გვერდით უნდა განიხილებოდეს“.[1]

*ოთარ მიქიაშვილი*, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი.

მეტაფორების მომაჯადოებლად გამოყენებით ვაჟა ეგრისელი ლაკონურად აღწერს ბუნების სურათებს როგორც ვხედავთ პოეტს განსაკუთრებულად უყვარს ზღვა და სტიქიები, რადგან თავად ზღვასავით ბობოქარია და მასთან სულიერ ნათესაურ კავშირს განიცდის.

ვაჟა ეგრისელის დიადი პოეტური ენერგია მოწოდებულია ერის სულის გასაძლიერებლად. პოეტს ღრმად სწამს და სჯერა, რომ მდიდარი საგმირო მო-

[1] „ქართველი და უცხოელი ავტორები ვაჟა ეგრისელზე“ „წიგნის მოყვარულთა საზოგადოება“ 1999წ. გვ.11

მავალი მას უღიმის, ვისაც მდიდარი და საგმირო წარსული აქვს. პოეტი მდიდარია თავისი წარსულით. მდიდარია თავისი ლექსებით და უძლიერესი მაინც ზღვისადმი მიძღვნილი საგალობლებით. მისი პოეზია სინთეზური სურათია ჩვენი სინამდვილისა. იგი გაბედული პოეტია. დიდი ოცნებების პატრონი, რომელიც წინასწარ ჭვრეტს მოსალოდნელ ტრაგედიებს:

„ზეცას სდიოდა სისხლი შვიდფერი –
მკერდზე ეკიდა ცისარტყელას
            მკლავი მოჭრილი.
უკუიყარა ზღვამ როდესაც
            შავი ქოჩორი,
ქარიშხლისაგან აწეწილი და
აქოჩრილი,
მაშინ,
   ო, მაშინ
ფოთი ჰგავდა ზღვისპირად მდგარ
ლამაზ ბოჩოლას“.

ზღვის პირად დაბადებულ ვაჟა ეგრისელს ისევ უდგას იმედის ქოხი და რა მართებულად მიუთითებს აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, როცა ამბობს: „მამულის ძლიერების ძარღვი ამ ქოხიდან იწყებაო – ამბობს თამამად შორეული ლეგენდიდან მოსული კოლხი, რომელიც საკუთარი სურვილით წარსულს

აძოვებს მის ღამეებს – ოქროსფერ ვერძებს. ბატონი ვაჟას ამ სტრიქონებში განთავსდა ჰიმნი მამულის მარადიულობისა – პოეტმა თქვა და დარჩა ლექსი, ლექსი – სიბრძნე“.

მისი პოეზია საღი, დაწმენდილი პოეზიაა, რომელშიაც გონებითი ჭვრეტისა და დაკვირვების მიკროსკოპი სრულ ჰარმონიაშია წარმოსახვისა და ფანტაზიის კალეიდოსკოპთან:

„ზღვა ქარიშხლით და მზით
მოქსოვილი
რომ არ მიყვარდეს,
არ მაქვს უფლება,
რადგან ტალღები მხრებზე ძლიერ
ტორებს მადებენ.
დასავლეთისაკენ მიფრინავენ
ჩემი ღრუბლები,
შავი ზღვის ტალღებს, რომ გაანდონ
გულისნადები“.

(„ჩემი ღრუბლები“).

ამ ლექსის პირველი სტრიქონებიდანვე ჩანს პოეტის გონებითი, ფილოსოფიური აღქმა თითქოს მთლიანად გახსნილი ფანტასტიკურ ელემენტებში,

ყურადსაღებია ისიც, რომ ეს ლექსი, გულის პოეტური ინდივიდუალიზირებაა. აქ ზღვისადმი მტკივნეული, მთელი არსებით შეწირული ვნება იწვის დაუზოგავად. პოეტი მთელი არსებით, გულუხვად ხარჯავს დაუშრეტელ სულიერ საგანძურს. საკუთარი მთრთოლვარე გულის სისხლით წერს თავანკარა პოეტურ სტრიქონებს და ვაჟა ეგრისელის სახელისა და სიტყვის უჭკნობი და დიადი ძალაც ამ მართლაც უბრალო, თუმცაღა რჩეულთათვის მისაწვდომი სიბრძნის ჯერ წვდომაში, მერე კი მისთვის თავგანწირვის ჟინსა და უნარშია მოსაძიებელი...

## პოეტური ხატები და მეტაფორები

პროფესორი აკაკი გაწერელია წერდა:

„...ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწვდომელი და განუსაზღვრელია. მე იშვიათად მეგულება პოეტი, რომელსაც მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სხვა ციური სხეულები იმდენი განსხვავებული მეტაფორებით დაეხატოს, როგორც ვაჟა ეგრისელს. მარტო „ელვა“ სამასზე მეტი თვალისმომჭრელი მეტაფორითაა გამკრთალი. ხან უფლის ღიმილად, ხან უფლის ხელმოწერად, ხან უფლის ყულფად და ა.შ. პოეტი სალექსო რიტმის დიდ ხელოვნადაც გვევლინება, მისი ლექსების სტრუქტურული

ელემენტები გამოგონილი კი არ არის, არამედ ძველი და მივიწყებულია, მაგრამ შემოქმედის მიერ დიდი ხნის მერე გაცოცხლებული. ესაა ნოვატორობა“.

პოეტი მის მიერ არჩეულ გზას ერთგულად მიჰყვება, როგორც ლექსების სტილით, ისე პოეტური თვალთახედვით და ხასიათების გადმოცემის ფერთა პალიტრით. ლექსები დატვირთულია აზრობრივად და აღინიშნებიან ლაკონურობით. პოეტი ორ-სამ სტრიქონში ათავსებს ემოციების მოზღვავებას, ფორმათა არტახებში ამწყვდევს და ამჭიდროებს გრძნობების ტორტმანს და შერჩეულ, მოზომილი სიტყვით გამოხატავს სათქმელს. მისი პოეტური მეტყველება დახვეწილი და ფაქიზია, ამავე დროს მდიდარი თვალისმომჭრელი მეტაფორული სახეებით, უხვადაა ლირიკული წიაღსვლები...

პოეტის ზღვისადმი მიძღვნილი ლექსები მამულის ჭეშმარიტი საგალობელია. ამ ლექსებში გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიული წარსული, წინაპართა უკვდავი აჩრდილები და გასხივოსნებულია მათი გმირობა და თავდადება.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ზღვები ამაღლებულნი, დიადნი, ზვიადნი და შეუპოვარნი ჩანან, როგორც სიმბოლო მარადიული სიცოცხლისა. მართლაც რა დიდებულადაა ნათქვამი:

„ტალღების ჩქამი –
თვალცრემლიან ნაპირს ეფარვის,
თოლიები კი თეთრი ფრთებით თოვენ მოწყენას.
ცა თმას ივარცხნის
და ვხედავ: ქარის გალობაზე
ამაღლდნენ ზღვები
და ცივ ლაჟვარდში
წვიმის სველი ხმები ინთება“.

**ციალა მესხია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია*
*(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*



**ქ ი ნ ქ ლ ა**

ნათურის შუქზე მოულოდნელად,
თითქოს „იქიდან“
მოფრინდა
ქინქლა
და ჩამჩურჩულა:
– ჯოჯოხეთია აქაც და
იქაც.

2008

## მთვარე, ვით ბეთხოვენი

სიჩუმეს მიჯაჭვული,
ქარი მალე აიშვებს,
ცისა და ზღვის მთხოვნელი.
მთვარე, ვით ბეთხოვენი,
ისევ ისე აჟღერებს
ვარსკვლავების კლავიშებს.
1979

## შეხედეთ ეგვიპტეს

უნდა შეუტიო არყოფნას,
სანამ თვითონ ის შეგიტევს.
უფალს ძე თვისი,
სასიკვდილოდ არ ემეტება.
შეხედეთ ეგვიპტეს!
თავზე ცა რომ არ დამხობოდა,
პირამიდები შეუდგეს სვეტებად!

1978

## მთვარე ნავია ქარონის

მწუხრიდან –
განთიადამდე,
ელვის ნიჩბებს რომ
აელვებს,
მთვარე ნავია ქარონის.
მკვდართა სულები –
ცის იქით,
გადაჰყავს უსახლკარონი.

1993

## ზღვა და ქარიშხალი

ზვირთთა ლოდებს მიაგორებს,
ზღვა არის და
ერჩის ლონე.
ქარიშხალიც გრძელფეხება
ისე დაჰქრის თავმომწონედ
თვით მიწასაც არ ეხება.

1986

* * *

ახლა ჟამთა ხავსი ფარავთ –
მზით ნამთვრალებს
და ნაღვინებთ:
არკადიას[1] და ბაბილონს[2],
ქალდეს[3],
აიას[4] და ნინევს[5],
ჩემი კოლხი წინაპრების
ნაალერსებთ,
ნაფოფინებთ.

1963

1, 2, 3, 4, 5 პრეისტორიული კოლხეთის ქვეყნები და ქალაქები.

* * *

ადიდებული მდინარეები,
ვერ აუდიან დედამიწის
ცოდვების რეცხვას.
სივრცე სველია და ნაწვიმარი.
ცაში ანთია ვარსკვლავების
სამსხვერპლო
ცეცხლი
და ღამის ღმერთს –
მთვარეს სწირავენ.

1986

# ეთერი

ქაოსიდან ამოსული
მზე - დღეს,
მთვარე – ღამეს შერთეს
და მას შემდეგ ღვთისტოლ ეთერს:[1]
ცა უჭირავს ცალი ხელით
მეორით კი დედამიწა
და...
საშველად არვის ელის.

1980

---

[1] ეთერი (ბერძ.) – ჰაერის სქელი ფენის განსახიერება (ზევსის ადგილსამყოფელი). ჰესიოდეს მიხედვით ერე-ბოსისა და ნიკტის ვაჟი.

* * *

ვითარც სიყმაწვილისას –
მეგრულ ოდის ლაფაროს,
ახლა ჟამს სიბერისას,
მინდა კოლხეთის წარსულს,
თავი რომ შევაფარო.

2007

## ღამის მსახური

სიზმრად შემომხვდა ღამის მსახური,
უშნო,
უღონო და უსახური,
სული მომთხოვა, ვით არსაკიძეს,
შეკრთა...
(ო, ალბათ, ესეც ბედია)
მას მერე,
ეჰა, რა დრო გასულა,
არსად, არასდროს არ შემხვედრია!

1999

* * *

ყიყინებს ნათელს მთიების მყვარი,
მთვარე სახეზე იფარებს
ნისლებს.
ჟამი ირევა, ვით სკა ნაყარი:
რომ ქვეყნად ყოფნა
არაა მყარი
და... თავს სიკვდილსაც ვერ შეაყვარებ.

2000

* * *

ანგელოზების თავის ქალებია –
მთიები,
ფოსფორი ანათებს დათხრილი
თვალების,
ზოგჯერ რომ ფარავს ღრუბლების ძონძები.
ჩვენ მთელი სიცოცხლე
სიკვდილს ვემალებით,
და სულ ტყუილად!
ის მაინც მოგვძებნის.

2001

* * *

წამს გაიღება წარსულის კარი,
ყივის ცისკარი,
თუმცა ბინდია.
ათასწლეულებს გადასწევს მთვარე
და გამოაჩენს აიეტის
ოქროს სასახლეს,
აივანზე მდგარ ღმერთქალ იდიას.

1969

* * *

ელვის ბილიკით ჩამომდინარი –
მოედინება სიმღერა მეხრის,
რომელსაც ჩუმად ვუსმენ და
ვუმზერ.
ვით სათოხარზე შუადღისას გლეხი,
ცა,
მთვარის ქიცას
შუაღამისას წაიკრავს შუბლზე.

1986

* * *

სამშობლოს მტრებს და ორგულებს,
ვითარც ნადირს მოიხელთავ
და შიგ გულში ჩასცემ ლახვარს.
გადააქცევ ზღვას –
ხმელეთად,
მთის მწვერვალებს გადალახავ!

2003

## კომეტებს და კვაზარებს

ცისკენ ხელებაწვდილი –
dgas ვედრებად ალვის ხე.
სივრცეები ზანზარებს,
რადგან ღმერთი არისხებს –
კომეტებს და
კვაზარებს.

1968

## ხილვა: წარმართები მცხეთაში

ჯერ აღარა ჩანს ციხე არმაზისის,
თუმც კლდეებიდან
მცხეთას დასცქერის
რკინის ხარის თუ ოქროს ხბოს თავი.
წარმართებს მაღლა აქვთ ლოდები.
სივრცეები კი ფიფქებს
მოსთქვამენ
და მთები თოვლს და ზამთარს
გოდებენ...

1989

## მზის ამოსვლიდან – ჩასვლამდე

ვითარც მოკვდავს მიგემია
სიტკბოცა და გლოვა მწარე,
ვმარხულობდი და არ ვსვამდი.
ესაა რაც მოვასწარი,
მზის ამოსვლიდან –
ჩასვლამდე!

2004

* * *

მამლის ყივილი მილეულ ღამეს,
ვითარცა ძვალი ყელს
გაეხირა.
ცას ელვა ზოგჯერ გააწნავს სილას
და ვარსკვლავები
როგორც ნახირი –
აღმოსავლეთით მიბღავის დილას.

1977

## ტირიფები

ხობისწყლისპირ ჩამომსხდარი –
თმაგაშლილი ტირიფები
წყალში დამხრჩვალთ
დასტირიან,
მიტომაა მზე გაძვირდა.
ანგელოზთა ტკბილი ხმები,
მაინც ისმის ცის ტაძრიდან.

1989

* * *

შენ კი მეოცედან მოხველ
და დიად ოცდამეერთე
საუკუნეს მხრებს ატოლებ.
პოეზიის ოქროს მახვილს
აელვებ,
ვით
გლადიატორი.

2003

## ვარსკვლავები – უფლის კარვებია

დღისა და ღამის შესასვლელი –
მზე და მთვარე –
ცის კარებია
და ღაღადისი მოისმის მწირის.
ვარსკვლავები –
უცოდველი კრავებია,
მამაღმერთისთვის შესაწირი.

1978

* * *

ღრუბლების ურდომ გამთენიისას,
ცას ვარსკვლავები
გადაუმალეს,
კავკასიონის ფეხქვეშ შავი ლოდები ყრია.
სიჩუმეს მოაქვს ხმა იდუმალი,
მთები შიშობენ
ამირანის არწივის ყრიალს.

1989



* * *

ხსენება ოქროს საწმისის –
უამურ ფიქრებს ცრის...
და დაძრწის ღალატის ხმა
დაგეშილი.
ელვა – ნერვია ცის.
ღამეს მოუჩანს მთვარე
ეშვივით.

1989

**მ ა რ ტ ი**

ვით შარშან,
შარშანწინათაც,
წელსაც,
რა კარგი დარია,
ჩემო ქართული ბრწყინავს ცა
და ისევ ერთად არიან:
მარსი[1],
არეა[2],
არია[3].

1981

---

1,2,3 მარიხი

* * *

როგორც ზღაპარში გველეშაპმა
მოულოდნელად,
მზე წამს ჩაყლაპა დასალიერმა
და ცის კიდეზე
აღარ ბარჩხალებს.
ზღვის სიღრმეში რომ უცებ იელვა,
თევზი ამოხტა თუ სულია
წყალში დამხრჩვალის?!

1990

* * *

ჩემი ყოფნის ცის ტაძარში,
რეკვა ისმის სხვა ზარების.
მეძავნი და
ურწმუნონი,
სიცოცხლეს კვლავ მაზარებენ,
ვით იესო ნაზარეველს.

1989

## ანატოლია

დიდ ხელმწიფეთა ჩანს ნასახლარი,
მორწყული წარმართ
მლოცველთა
ცრემლით.
სიმარტოვეში დგანან ნიშები.
იღრინებიან ავაზები –
კარიბჭის მცველნი
და ძველ კოლხეთის –
დიდ წარსულში
აღარ მიშვებენ.

1986

* * *

ხობისწყლის პირს ჭალას დამბა,
აუზიდავს, როგორც წარბი.
იქვე შენი სიცილი,
გადათოვლილ გზაზე გარბის
გაუხედნავ კვიცივით.

1962

* * *

შორს,
მთათა მიღმა ისნის ვარსკვლავმა
თვალი მოხუჭა
და გაახილა.
იღვიძებს ცეცხლი,
ალაგ-ალაგ ამოდის კვამლი.
თოვლიან ზამთარს ბღავის ნახირი
და ნაჯახივით ღამეს აპობს
ყივილი მამლის.

1959

## ხილვა: გორგონა მედუზა

მითებიდან მოსული
კარებთან ამეტუზა
და მიკივლა:
– აქა ვარ!
იმ ურჩხულმა – მედუზამ*,
მაგრამ ვერ გამაქვავა!

1971

* გორგონა მედუზა (ბერძ.) – ქალი ურჩხული, რომლის თავი, ვინც მას შეხედავდა ყველას ქვად აქცევდა.

## საჯილდაო ქვა

ციხქვეშეთში დღეები,
ვითარც წინათ, ტაატით
მიდიან და მოდიან...
მაგრამ შენთვის ყოველი:
წამი,
წუთი,
საათი,
საჯილდაო ლოდია.

2007

## ე ლ ვ ა

უსინათლებს დღისკენ მავალ
ღამეს წყვდიადს,
ქუხილს ელვა,
სულ თან ახლავს,
არ უხდება დიდხანს დაცდა.
და ის ელვა,
სველ ღრუბლიან ცას გადახნავს,
კვლავ დათესავს ვარსკვლავების
ოქროს მარცვალს.

1994

## პ ო ს ე ი დ ო ნ ი
(ვარიანტი)

უმთვარო და უსამანო
ქარიშხლებმა ცა
ინდომეს.
ღამეს ცვივა ცრემლი მლაშე
და ზღვაზე პოსეიდონი
დააჭენებს ზვირთთა რაშებს.

1972

* * *

წვანან ღრუბლების შავი ლოდები
და ვარსკვლავები ნათელს
უკმევენ –
გადავიწყებულ სულებს უძლურთა.
გადაუღელავს ზეცას
გულ-მკერდი
და რძე მოჟონავს მთვარის ძუძუდან.

1969

## ხილვა: ბ ა ვ შ ვ ო ბ ა

ჟამს მიმწუხრისას
მოულოდნელად,
მოგონებების დგება ჭავლი, და,
ვხედავ: ბავშვობა, თხებს და ერკემალს,
ახალ გაჩალულ პარას ჭალიდან
ფეხშიშველა რომ მოერეკება.

1966

* * *

(ვარიანტი)

რომ მიცურავს ცის ოკეანეში
კავკასიონი –
ხომალდია ნისლის აფრებით.
და აწ ავადმყოფს სიყვარულით,
რა მეშველება?!
სამშობლოვ ჩემო!
შენი ერთი თვალის შეავლება,
მე თუ მომარჩენს,
სხვა არაფერი.

2006

## როგორც იობი

გვღრღნიან დღეები და ჩვენ ტანჯვისთვის,
უფალს მადლს ვწირავთ,
როგორც იობი.
თუმც წარსულიდან ხმა მოგვესმის:
ზღვები – ცრემლია
კაცობრიობის,
ვარსკვლავები კი – სისხლი არის
ცაზე შემხმარი.

1976

## პანდორეს ყუთი

ჩემმა დღემ სინათლედ
მზე ამოიყვანა,
მას ღამე უთია.
მაინც ეს ქვეყანა,
პანდორეს ყუთია.

* * *

ქუხილს უცებ რომ ელვა გაექცა,
არავინ იცის,
რად იკინკლავეს,
ან ეხლა რატომ არიან ჩუმად.
მეტეორები თავს რად
იკლავენ,
ვარსკვლავები კი თუ რატომ დუმან.

1981

* * *

ჟამს მიმწუხრისას დღე,
ღამის,
მშობიარობას გადაჰყვა.
მთვარე – ნავია ქარონის,
მთიები – მკვდართა სულები,
სადღაც მზის იქით გადაჰყავს.

1988

* * *

პოეტის გარდა იცის არავინ,
რომ საყვარელთა ხსნად და
იმედად –
ციალებს მთვარე ცით შევერცხლილი.
და ვარსკვლავები ღამის
მღვიმედან –
გამოაქვთ ქარებს და ბრწყინავენ
გველის ქერცლივით.

1978

## ძველი კოლხეთი

წარღვნამდე არა,
წარღვნის წინარე,
ექვსი თუ შვიდი ათასწლეული –
ელვა გაუმტარ ნისლად ებურვის–
ძველი კოლხეთი – უდიდესი არის
მდინარე,
აწმყოს,
წარსულს შუა შეგუბებული.

1966

* * *

მტერმა ველარ ამოგლიჯა
დედა თბილისს მტკვარის ენა.
დიდი ბრძოლითა და დავით,
სანთლად ენთოთ ქრისტეს რწმენა,
მთაწმინდას და
მამადავითს.

1982

## ისევ ტაო კლარჯეთი

უხდებოდნენ მომხდურთ მკერდით,
რომლებმაც ვერ გასტეხეს!
(დრომ გასტეხა!)
ფანასკერტი,
ჯაყის ციხე,
ნარი, ოლი,
კუმი, ციხე კარტეხის.

1968

* * *

ქაოსიდან ნაშობი მზეებით და
მითებით,
ვით მირიად წლის წინათ,
თვალი ისევ გევსება.
და ოლიმპოს მთებიდან გესმის
რეკვა ზარების.
კოლხ ჰეფესტოს ნაჭედი შენი ცა
და ლექსები,
თვითონ აპოლონისგან არის
ნაზიარები.

1972

* * *

შენი ფიქრი ქორივით
დასტრიალებს ძველ კოლხეთს
და მოგესმის ყიჟინა ბერძნების
და ჰუნების.
შენი ღვთის ჯილდო იუფლე –
ნაბოძები ბუნების.

1988

* * *

გადიყრანტალა ცამ წვიმა
და უცებ გადაიკარა.
ისმის გალობები დაისური.
შენ წევხარ ქვიშაზე ზღვისკარად,
ამურის ისრებით –
დაისრული.

1973

* * *

გარდასულთა დარდს და წუხილს,
სიხარული მუდამ სდევდა,
ვხედავ თბილისს გადათოვლილს,
მტკვარს კასპისკენ მიაქვს სევდა,
მცხეთისა და
მადათოვის.

1962

## ჩასძინებიათ დღესასწაულებს

დიდ ფარსმან ქველის ცხენთა
თქარუნი,
მარსის ველიდან აწ აღარ ისმის,
მიტომ სიმძიმილს ვერსად
წავუელ.
ათასწლეულთა მტვერში და ნისლში
ჩასძინებიათ
დღესასწაულებს.

1992

## გიგანტომახია*

კოლხეთის დიდ წარსულში –
ასი ათასწლეულის
მდუმარება მარხია,
და ღამეებს ათევენ:
ტიტან-გოლიათები
და მოისმის ნიადაგ
ხმა – გიგანტომახიის

1993

* გიგანტომახია (ბერძ.) გიგანტთა ომი.

* * *

მოკვდავთ არა,
უკვდავებს,
აღარ ყოფნით მიწა და,
უსამანო სივრცე ცის,
ყოფნა ღმერთთა ბრძოლაა:
ზევსისა და კრონოსის,
ბუდასი და ქრისტესი.

1968

* * *

ერთმანეთს ჩუმად ეფარებიან,
თეთრნაბდიანი მურყნარები
ჰგვანან ფირალებს.
შორს ჩანან მთები გადათოვლილი.
დგას შემოდგომა –
მატადორივით,
და ზამთარს ნეკერჩხლის ტოტს
უფრიალებს.

1970

* * *

ეგვიპტე და ბაბილონი,
          საბერძნეთიცა და რომიც,
          (ალბათ აღარ გაიოცებთ).
მზით მოსავდა კოლხთ ნაშიერთ.
თუ არ გჯერათ ჰკითხეთ: შლოცერს[1],
          მილოს[2],
                    ტომსონსა[3] და შიერს[4].

1968

---

[1] ფრიდრიხ შლოცერი – გერმანია
[2] ედგარ მილო – შვეიცარია.
[3] ჯორჯ ტომსონი – ინგლისი
[4] ნ. შიერი – აშშ

* * *

მილიონი წელია,
ლეგენდებს რომ მიზელავ
და გზას მაინც ვერ ამთავრებ.
უხმობ რეა-კიბელას,
ვით ღმერთების დედა-მთავარს.

1998

## წვიმა, ქარი, მზე და მთვარე

რომ დაჰქრის და დაგრიალობს,
მკვდართა სული –
არის ქარი.
წვიმა ვარდთა ფერს ასველებს.
დღისით – მზეა,
ღამით – მთვარე,

ღვთის ჭიშკარში შესასვლელი.

1982

## პ ო ე ტ ე ბ ი

*„ჩვენ პოეტები ციდან ვეშვებით“.*
*გალაკტიონი*

როდესაც შეწყდა წვა და ქაოსი,
სიცოცხლე ქვეყნად იშვა
იმწამსვე.
და ის პირველი კოლხი იყო,
მამა უფალმა,
ვინც რომ ჩამოსვა დედამიწაზე.

1963

* * *

სივრცეს რომ აზანზარებს,
ქუხილი კი არა,
ზევსის ხმაა! –
სურს რომ რისხვად სამყაროს დაუაროს.
და ტანში აჟრჟოლებს
გეას[1] და ურანოსს[2].

1972

1 გეა – მიწა
2 ურანოსი – ცა

**მზის ჩასვლა**

(ვარიანტი)

ჩავიდა მზე და შეაფარა თავი
ზღვის მღვიმეს,
და დღე დასტოვა სისხლდაწრეტილი.
მოვიდა ღამე
და დაუსვა ცას მთვარის მძიმე
და ვარსკვლავების მრავალწერტილი.

1962

* * *

ბალახი არა,
    ისიც ცისკენ იწევს და
                        ილტვის,
რა საკვიროა, ღამე მთიებს თესდეს
                        და მკიდეს.
მზეც ამოდის და...
            ის მთელი დღე დაეძებს
                        სიკვდილს
და მიმწუხრისას, ვითარცა ჩვენ
                    პოულობს კიდეც.

2001

## ყაყაჩოები დიდგორზე

ათასწლეულებს მიაცურებენ
მთები –
ნისლების აფრიანები.
ნახეთ! – დიდგორზე ყაყაჩოები
სისხლიან დროშებს –
რა ამაყად აფრიალებენ.

1991

* * *

ასე ყოფილა მოკვდავთა ხვედრი...
მგელი მგლობას კი
აროდეს
იშლის.
სიკვდილიც ასე: უჩუმრად მოდის –
გლოვით,
ტრაურით,
ცრემლით და ვიშით,
და მხრებით მოაქვს ჯვარი და ლოდი.

2001

* * *

მეზობელი მეზობელს და,
ძმა ძმას ველარ შევაყვარე,
თუმც ტაძარი ვაგე ასი
და ამიტომ ეს სამყარო,
თავლა არის
ავგეასი.

1993



## სამშვილდეში

მოგონებებს ყვავ-ყორნებად,
სანამ ქარი აშლიდეს,
სანამ ვხედავ მტერმორეულ
სამღერეთს და
სამშვილდეს,
ან მე,
ანდა ჩემს ორეულს,
ნეტა რა დაამშვიდებს!

1964

* * *

ასეა –
თურმე წუთისოფელი,
სიცოცხლეს წამით გაიქილიკებს,
ჩუმად იღება ცათა კარები.
და დღე ყოველი ღამის ბილიკით,
კვლავ წარსულისკენ
მიიპარება.

1986

## პოეტი

გადაჰყურებს დაბლა ქუჩას,
სცემს ფანჯარასთან ბოლთას.
დუმილს ბოლო არ უჩანს
და მიდის ბრძოლა ორთა:
– ყოფნა?!
არყოფნა?!
ძალა,
არ აქვს სოფელთან დავის!
გულში რაღაც მალავს,
ვაჰ!
თუ მოიკლას თავი.

1994

* * *

ჯოჯოხეთის ბჭესთან,
არ ანათებს მნათი,
სადღაც,
ვიღაცა გოდებს:
– დავიწყება ათოვს,
ადამის ძის ცოდვებს.

1996

## გეას, პოსეიდონს, ანტეოსს

ბერძნული მითების კარები –
გაალო
და ისევ მოხურო,
ღამეები უნდა ათენო.
და სული ჩაუდგა კოლხური:
გეას,
პოსეიდონს და
ანტეოსს*.

1961

* ანტეოსი (ბერძ.) – გეას (მიწის ქალღვთაების)და პოსეიდონის – ზღვის ღმერთის) ვაჟი.

**მთვარის სონატა**

(ვარიანტი)

ზღვის ფსკერიდან ქარიშხლები,
სანამ ჩუმად აიშვებენ,
მხსნელი ტყვედქმნილ
მონათა.
ქარი ზვირთთა კლავიშებზე
უკრავს „მთვარის სონატას“.

1961

## მეტეხი, ნარიყალა, თბილისი

დუმს მეტეხი...
ნარიყალა,
წარსულშია გარიყული,
მტკვარს ზვირთები ხეთქავენ.
და... თბილისი არის გული,
ქუჩები კი ძარღვებია,
სიყვარულით მფეთქავი.

1971

* * *

ისინათლა,
გაქრა ბნელი,
მიწის შვილი ცისკენ ილტვის...
ვაჰ, თუ მზემ არ მიიკაროს.
ღამეს მთვარე რომ ჰკიდია,
ცალი ფრთაა იკაროსის.

1962

## კელტები და ბასკები

პირინეის კუნძულებს
სული კოლხ-იბერების,
კვლავ ზღვასავით ასკდება
დასცინიან სიბერეს
კელტები[1] და ბასკები[2].

1964

---

12 ქართველთა მონათესავე ტომები.

## ენა მზის ღმერთ ჰელიოსის

წარსულიდან ქარს მოჰქონდა,
სინარნარე ტკბილ-კოლხური,
ენათა და კილო-კავთა,
ცა ბრაზობდა და ვარდისფერ
ელვის ტუჩებს ილოკავდა:
არაფერი არ ესმოდა,
სინათლით და ბნელით მოსილს,
რადგან სრულად დავიწყოდა
ენა,
მზისღმერთ ჰელიოსის.

1964

**ნ ე ნ ა ნ ა**

მოსვლა წუთისოფელში,
            რომ არასდროს ენანათ,
            ძველად კოლხ-პელაზგები
უგალობდნენ მუხლ-მოყრით
            უფალთ-უფალ
                    ნ ე ნ ა ნ ა ს.

1966

* * *

ვარსკვლავთა ნაკვერცხლებით,
დილამდე ჩუმად თბება
მთვარე –
მგოსანთა მუზა.
და... დაფეხვილი მთები –
ჩანან სიკვდილის კუზად.

1967

* * *

*„ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს“.*
*მათე (2,24).*

და ბოლოს ისიც კი წავიდა მარილზე,
სიცოცხლეს
ვინც ღამე უთია
და მიჰყვა სამარის კარამდე.
რა არის აქ ყოფნა!
იგი ხომ წუთია,
გიყვარდეთ არყოფნა –
ცასავით მარადი!

1990

## ერთი ზვირთი

ქარის ნათქვამს თუ ყურმოკრულს
ერთი ზვირთი ჰყვება ამბავს:
– ღრუბლებისგან ცამ
ვით შობა.
ზღვას აცვია სიფრიფანა
ნისლის კაბა
და ამშვენებს ქაფის ქობა.

1971

* * *

უფლის ხელებით ნაგებს,
რომ შეაფაროთ თავი:
პარიზს,
რომსა თუ ვერსალს,
მაინც ძვირფასო,
სიკვდილს,
ვერ გაექცევით ვერსად.

1974

## კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი

ყოველ შაბათს,
ყოველ კვირას,
მუხლმოყრილი პონტოს პირას,
ზის მოხუცი ოლიფანტე
და წარსულში აყურადებს:
თარხონსა[1] და
კორიბანტებს[2].

1962

[1] თარხონი – ქუხილის ღვთაება ძველ კოლხურ პანთეონში
[2] კორიბანტები – მფარველი ანგელოზები.

* * *

მეხით დამფრთხალი ჯოგი –
ღრუბლების,
ღამის უკუნში,
სადღაც მიდიან...
მთვარე ლოდივით ქვესკნელში გდია.
ქუხილს ხმალივით –
ელვა ჰკიდია,
თუ ამოწვადა, გააპობს წყვდიადს.

1961

## სქური და დიოსკურები

სხვის შვილებს ვერ იტანს ჰერა[1,]
თუ იხელთა დასთხრის თვალებს,
და კოლხ დედას იოს[2] ურევს.
ვხედავ: სქურში[3] მოჭყუმპალე
ნაჟირუა[4] –
დიოსკურებს[5].

1965

---

[1] ჰერა – მამაღმერთის – ზევსის ცოლი
[2] იო – ძველარგოული მთვარის ღვთაება, (ზევსის საყვარელი):
[3] სქური – წყარო სოფ.აბასთუმანში (ზუგდიდის რ-ნი)
[4] ნაჟირუა (მეგრ.) – ტყუპები.
[5] დიოსკურები – ზევსის შვილები: მოკვდავი კასტორი და უკვდავი პოლისევკი.

## ვარსკვლავები დაგმარხავენ

ხელთ გიპყრია მზით ნაჭედი
დღე და ღამე,
ვით ფარ-ხმალი
და გელის ის, ვინც გელოდა.
ვარსკვლავები
ცაში ჩუმად დაგმარხავენ,
დაგადებენ მთვარეს ლოდად.

2007

## თეთნულდის ღამე

როცა მოესმათ კივილი დალის,
მთებმა გულ-მკერდზე ლოდები
იცეს,
აიყოლიეს კლდეები სალი.
მერე უეცრად დაბრმავდა სივრცე
და ცას და ღამეს –
ვარსკვლავებით დაევსოთ თვალი.

1972

* * *

შიშველ-ტიტველ ვარსკვლავებს კი
არც მამა ჰყავთ,
არც დედა!
მიცვალებულ გმირთა სულებს –
დღისით – მზე და
ღამით მთვარე
ადგათ შარავანდედად.

1972

* * *

ადმოსავლეთით ცის თეთრ ჭიშკართან,
მზეს ელოდება მთვარე –
ეული,
მაგრამ არა და არა ჩანს არდი*.
და ევერესტი –
ცად გაქცეული,
არავინ იცის, დედამიწას
თუ როგორ დარდობს.

1979

* „არდი – ადრე მზეს უნდა რქმეოდა“. ივანე ჯავახიშვილი.

## ს ა ლ ხ ი ნ ო შ ი

სალხინოა...
და ლხინია,
მაგრამ გზად თუ შეგეყარა
და სიკვდილმა გიწია,
ნუ შეკრთები! – დაგიფარავს:
ჭყონი[1],
კურზუ[2],
კიწია[3].

1974

[1,2,3] პრეისტორიულ კოლხთა წარმართული ღვთაებები, ამჟამად სოფლები მარტვილის რაიონში.

* * *

მიმწუხრის შავი ჯოხის კაკუნით
ჩადიოდა მზე ფერნაკლული
და ჰგავდა ბრმა,
ლამაზ ოცნებას.
ღრუბლები ქარში თმებს იშლიდნენ
და დასტიროდნენ ბორცვებთან
შენს მომლოდინე
სიმშვიდეს.

* * *

სიცოცხლედ და სიხარულად,
ყოველ დილით
მზე ამოდის,
ოქროსფერი, როგორც ხვითო.
სიკვდილი ჩვენთან
არ მოდის,
ჩვენ მივდივართ მასთან თვითონ.

2008

* * *

ცა გაშლილია, ვით სუფრა
ათასწლეული
თამადობა კი მთვარემ ინება,
და ვარსკვლავები ოქრო-ვერცხლის
არის თასები,
რომელსაც კამკამა სინათლით ავსებენ,
უფლის რჩეული ქერუბიმები*.

1984

* ქერუბიმები – ექვსფრთიანი ანგელოზები.

* * *

ცის და მიწის სიყვარული
სამიათასჯერ გარითმე.
არც ნაკლები
და არც მეტი,
შენი ლექსი მოჰგავს კრეტის
ან ეგვიპტის ლაბირინთებს.

1994

* * *

პოსეიდონს ბაძავ,
ამბობ და არ მალავ:
ვერ იქნები მშვიდად,
თუ არ გეცნო ახლა,
ზღვას ვინც ღუნავს მშვილდად.

2006

## რეა და კიბელა

ბაბილონის კი არა,
ცად მიჰყვები ლოცვის და
უფლის მაღალ კიბეებს,
და მსხვერპლს წირავ რეას[1] და
ღმერთთა დედა-კიბელეს[2].

1964

[1] რეა – ფრიგიელი ღმერთქალი
[2] კიბელე – პელაზგთა (ბერძენთა) დედა-ღვთაება.

* * *

ვიცით, სიკვდილი უძლეველია,
მის ზრახვებს –
მაინც აღარ ვემხრობით,
და სიავესაც მით ველოდებით.
არავინ უწყის,
თავზე როდის ჩამოგვემხობა –
დამძიმებული ცა ღრუბლების
შავი ლოდებით.

1939

* * *

სახელმა „ვაჟამ“ პოეზიის
მოწმენდილ ცაზე
გადაიქუხა
უცებ მეხივით –
და გადასწია რკინის ფარდა
ათასწლეულთა
– კაცობრიობას,
რომ წარსული კოლხთა ეხილა.

2000

* * *

ციდან მუქარას ღმერთთა,
თითქმის მოეღო ბოლო
და ხშირად აღარ გვესმის.
ისე, ვით ზევსმა კრონოსს*,
ქრისტემ დაამხო ზევსი.

1989

* კრონოსი (ბერძ.) – ოლიმპიამდელი ღვთაება ურანოსისა და გეას ვაჟი.

* * *

მამა,
    ძე და სული წმიდა,
    ჯერ არა ჩანს ციდან სამად
და სამყაროც არ მოელის.
ერთი მნათი ისე დაცქერს
            მთვარის სამარხს,
ვით ქრისტეს ცხედარს მაგდალინელი.

1978

* * *

ერთბაშად არა,
ზოზინ-ზოზინით,
ციდან ჩამოფრენილ ანგელოზივით,
დრო სიცოცხლეს და სიკვდილს გვასწავლის
და ხეს ცხოვრების ცვივა ნაყოფი.
აღმოსავლიდან –
ვიდრე
დასავლით,
დღითი-დღე მოდის ჟამი არყოფნის.

2008

* * *

კავკასიონის მთით გადმომდგარი –
დრუბელი წვიმას ბღავის
ვერძივით.
ელვა წყვდიადის მისდევს ნაკვალევს.
ზვირთთა დევები ერთურთს ებრძვიან
და აფრიდიტე* ზღვას
დაკანკალებს.

1971

* აფროდიტე (ბერძ.) –ზევსისა და ოკეანიდ
დიონეს ქალიშვილი.

## დემონები და სატირები

ცეკვა-თამაშით,
სიცილ-ხარხარით,
ლეგენდიდან თუ წარსულიდან
მოვლენ ტალღები,
ვით დემონები და სატირები.
და დავიწყების კარს გააღებენ,
მერე მედეას ღალატს ჩუმად
შემომტირებენ.

1969

* * *

წითლდება ზეცა აღმოსავლეთის,
თენდება დილა საოცარი
და საკვირველი.
მზე არ იკარებს ნიავს მიჰქროლილს.
მამლებს სურთ:
ყივილის საყვირებით
დაამხონ ღამე ისე, როგორც
იერიქონი.

1989

* * *

შენ ხარ ჰელიოსის[1] ძე
ვინც „კოლხური ფსალმუნით“,
ამაღლება გაბედა.
და ზიხარ კვლავ გაბეთას[2],
ბიბლიური თმა-წვერით
და ამბობ, ვით პილატე:
„რაც დავწერე,
დავწერე!“

2007

---

[1] ჰელიოსი – მზის ღმერთი
[2] გაბეთა (ებრ.) – მსაჯულის ტახტი.

* * *

ნისლის საცერში ქარბორიას
ზღვა გაუწურავს,
არავითარი ბურდო და ლექი.
სხვა სილამაზის არ ვარ მნახველი.
გამთენიისას სისხლიან მზეს
ამოახველებს
ცა დღით და ჭლექით.

1967

* * *

მთიები,
ვით მტერი ურიცხვი, –
ზრიალებს...
ზანზარებს ცის ლურჯი მინდორი,
რომელსაც წარსულის ნისლები ებურვის.
ზე – შემოქმედება ომია დიდგორის –
საკუთარ თავთან მოგებული.

2008

## ზოგმა მგოსანი უწოდა

(ვით ამერიკელს იანკი*.)
ლექსის ქურდსა და
სოვდაგარს.
ზოგ-ზოგის პოეზია კი,
დაუმიზნებელ სროლას ჰგავს.

2008

---

* იანკი (ინგ.) – ამერიკელების მეტსახელი, რომელიც მათ ევროპელებმა შეარქვეს.

* * *

აჰა, ჩემი სასახლე,
ლურჯი ცით და
მთვარის ჭით,
ვარსკვლავებით ურიცხვით,
ცხრა მზით და ცხრა კარიბჭით.
აქვე ბლომად იპოვით –
სარდონიქს[1] და სარდიონს[2],
ქრისოპრას[3] და ქრიზოლითს“,
ბივრილს[5], ტოპაზს[6], საფირონს[7]
და სიყვარულს ბევრზე – ბევრს,
თქვანი გოლუაფირო[8].

2008

---

1,2,3,4,5,6,7 ძვირფასი და პატიოსანი ქვები
8 თქვენ შემოგევლეთ (მეგრ.).

## ფაზისის პირას

კოლხთა წარსულში,
აიასთან,
ფაზისის პირას,
რომ გაკრთა ელვა,
ელვა არა,
ორფეოსმა ჩამოკრა ლირას.

1958

## სამი ფერია

სიკვდილი ვერ ეწევა,
უკვდავების ფერი აქვს –
სამ ღვთაებრივ ფერიას:
პოეზიას,
მუსიკას,
ფერწერას.

2001

## მთა პოეტი

ძირს ჩამოდის სინათლედ –
ვარსკვლავების სიცილი,
ნავსაყუდლად ცა ჰპოვე.
ზღვა, კვლავ შემოგცაცინებს,
ისე, როგორც მთა –
პოეტს.

1997

* * *

ვითარცა დავითს ლამისყანასთან,
ჩაგვსაფრებია დღეები ჩვენ,
როგორც ლეკები.
რა ქნას სიცოცხლემ!
ველარ გვიფარავს.
და ჩვენ სიკვდილი,
ვითა ცხვრის ფარას,
მოუსავლეთში მიგვერეკება.

2000



* * *

მტერთან სულ იმარჯვებდნენ...
და სახელი იმათი
ძალას მატებს
უძლურს კი:
ჯავახ[1] – გოგარ[2] – კლარჯები[3],
ჯიქები[4] და ძურძუკნი[5].

1969

1,2,3,4,5 უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები

* * *

წყალში დამხრჩვალთა სულებს
მოვუხმობ მედიუმივით*.
მარტი ქალივით ფერს და
ზნეს იცვლის.
ალბათ ჩემს გარდა არავინ იცის:
რას მოასწავებს დღეს
ზღვის დუმილი.

1973

---

* მედიუმი (ლათ.) – შუათანა, სპირიტების ცრუ რწმენით, პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან“ ამყარებს ურთიერთობას.

* * *

გადმომდგარან და ღობეებიდან –
შემოდგომას იცინიან
ბროწეულები,
ლოცვად იწევენ ცისკენ ვაზები.
და სოფლის ბოლოს უკვე
ბინდდება.
ღრუბლების ჯოგი შავი ზღვისკენ
მიიზლაზნება.
ცა,
ელვას უცებ წამოიკივლებს,
ფერ-ფურს დაკარგავს
და გარინდდება.
1992

* * *

შორს,
        სადღაც ცის დასალიერთან,
        მთვარე, ვით ღამის ტიარა,
ჰგავს, ბნელში ქარისგან მოსროლილს.
და მზის ნაფეხურები კი არა,
ცაში დაყრილი ვარსკვლავთა ძვლების
                    ანათებს ფოსფორი.

1986

* * *

ხვდებოდა ათას ქარს და
ქარიშხალს,
არ აშინებდა სიკვდილის
რისხვა,
თავზე ეხურა კოლხური ცა –
ოქროს თავშალად.
უულურჯესი იყო შავი ზღვა,
მაგრამ წუხილმა მედეაზე
გააშავა.

1967

## ოსირისი და იშთარი

კოლხეთს,
ქიმეთს და ბაბილონს–
სიცოცხლის და რწმენის თესვა,
არა და არ დაიშალეს.
ახლაც გვიჭვრეტს წარსულიდან
ოსირისი[1] და იშთარი[2].

1972

---

1 ოსირისი (ეგვიპტ.) – ნაყოფიერების ღვთაება
2 იშთარი (ბაბ.) – ნაყოფიერების ქალღვთაება.

## ბიბლიური კოლხეთი

რიონის და ენგურის –
მზით დაძარღვულ ხელს გაშლის,
გეტყვის: – შვილო,
მოხვედი?!
მერე მიწა ჩაგიკრავს,
პეპლის ფრთაზე მსუბუქი,
ბიბლიური კოლხეთის.

2009

## რე-რა, რე-რო, ვო-რე-რა

მუხანათმა ჟამმაც კი,
ვეღარ შესძლო მორევა,
მაინც ისმის კოლხური –
რე-რა[1],
რე-რო[2], ვო-რე-რა[3]..
და აღვიძებს მთებს დილით –
თოვლის თეთრი გალობა,
ლი-ლეო[4] და ენ-ლი-ლი[5].

1974

[123] მზის ღვთაებები – (სვან. ეგვიპტ.)
[4,5] მზის ღვთაებები – (სვან.შუმ.)

## ქარიშხალი ზღვაზე

ზვირთებს მიჰქონდა –
სანაპიროს რაც რომ ებადა
და ასჯერ უფრო მეტს აპირებდა.
მზე ცას სისხლს სწოვდა ვით
ვამპირი და,
მერე სივრცეებს წითლად ღებავდა...
ზღვა კი ქარიშხალს ყრიდა
პირიდან.

1978

* * *

სივრცეები გადმოფენენ –
ვარსკვლავების ბაირაღებს
და თეთრს წითლად ასაღებენ.
ცის დარბაზს კი ღამე აღებს –
მთვარის მოხრილ
გასაღებით.

1960

**2000**

ჰა,
მიილია ორზე მეტი ათასწლეული,
რაც ჯვარზე აცვეს და...
ამაღლდა ქრისტე.
(ეს იყო ჰურიათა „საქმენი საგმირონი“)
ვინ იცის როდიდან,
ძე ადამის, ვით ბაბილონი,
უფლის ნახვად მიილტვის ცისკენ.

1971

* * *

ლეღვის თუ შიშის ტოტზე შემჯდარი,
სინათლის სვეტებს ყივის
მამალი
და ზესკნელის აღებს დარბაზებს.
ცა-ვარსკვლავებით
დაისრულია
და ბნელ ქვესკნელში ძლივს
მიბარბაცებს
მზე, რომ ამოდის ღამის სულია.

1986

* * *

ცამდე ღმერთივით ამაღლებული,
ანგელოზების ტოლი,
სწორფერი,
ჟამთა სიავეს დიდხანს ეომე.
მაგრამ, ვით წინათ მიიმღვრევა,
წუთისოფელი,
ვითა სტიქსი[1] და ვითა ჯეონი[2].

1993

---

[1] სტიქსი – მიწისქვეშეთის მდინარე
[2] ჯეონი – ჯოჯოხეთის მდინარე.

## ჰელიოსის ხარები

უთენია,
სქვიასთან,
როცა მწყემსებს ჩავუვლი
და მზეს მომახარებენ,
წამსვე მესმის ბღავილი –
ოდისევსის დაკლული,
ჰელიოსის ხარების.

1980

## ისე, როგორც ალკიდიმ

ზოგ-ზოგ პოეტთა ჯიბრზე,
მრავალ ომგამოვლილმა,
პოეზიის პიტალო კლდეზე
სიტყვა დავკიდე
და ღმერთს ვთხოვე შეწევნა,
ისე, როგორც ალკიდიმ**.

1991

* ალკიდი – ბერძენი პელაზგი სახალხო გმირის ჰერაკლეს ნამდვილი სახელია და ნიშნავს: „წარმატების მომპოვებელს ჰერას ჯიბრზე“

* * *

დედამშობელ კოლხეთივით,
ათასწლეულები გაიზმორე...
ჰოდა,
ნუ გაიოცებ:
პოეტი ხარ და იზომებ –
საუკუნეს მეოცეს.

1970

## კაენი და კითერონი

საწყალ კაცობრიობას,
ნათელი დღის სანაცვლოდ,
ღამე რომ გაუთენონ:
აღარ სძინავს კაენს[1] და,
აღარ სძინავს კითერონს[2].

1993

[1] კაენი – აბელის მკვლელი
[2] კითერონი – მამისა და ძმის – ჰელიკონის მკვლელი.

## ქალდეა

ვარსკვლავთა შორის ცაში ბინადრობს,
(ათასი არა,
მილიონი წელი გავიდა)
და თავზე ბურავს მოქათქათე ღრუბლის
ტიარა[1].
მთვარე –
ქალდეაა[2] მოსული ღამიდან,
რომელიც აღარ ტოვებს
და დატრიალებს.

1972

[1] ტიარა (ბერძ. ძველ აღმოსავლეთში: მეფეების, ქურუმების, თავსაბურავი „როგორც ძალაუფლების სიმბოლო).

[2] ქალდეა – ურარტუს წარმართული პანთეონი მთვარის ღვთაება.

* * *

ზღვა აუკლია ურდოს –
ქარების,
კვალი ატყვია არევ-დარევის.
არსით სულდგმული სიტყვის
გამღები.
ირგვლივ ნამხსვრევი ყრია ტალღების,
ზღვა ჩანს ისე, ვით
ნასახლკარევი.

1969

## ხილვა: ქორწილი კანაში

ანგელოზთა ხმა ისმის –
ქორწილია დიადი
გალილეის კანაში.
მშვენიერი დარია.
და ვჭვრეტ მლოცველ
დედა – შვილს –
იესოს და მარიამს.

1978

* * *

სიყვარულით დაისრული,
მოშრიალე ფრთა ამურის,
ეფინება
ქალებს ბინდად.
ცას მთვარე კი უჭირავს,
ვით სალამური
და სინათლე წვეთავს მისი ჭრილობიდან.

1980

**მყინვარი**

გამოქცეული მიწიდან,
ზეცას სიმაღლეს აძალებს,
ნისლის მუმლს ვეღარ იცილებს.
და დგას ყინულის ტაძარი
და ზარებს რეკავს სიცივის.

1977

* * *

სამყაროა აბრეშუმის
ჭიის ოქროს პარკი,
შიგ ვხარკალებთ ისე როგორც
ჭუპრი.
გარს გვაკრია გათენების ბინდი.
ეს ცხოვრება –
მდინარეა კუპრის,
გადავდივართ ზედ არყოფნის ხიდით.

2006

* * *

უგზოდ გადაშლილ რწმენის მინდვრებზე,
ქრისტეს რომ ცხვარი
უძოვებია,
ვარსკვლავები დასტურია უფლის მოწმეთა.
თეთრი ღრუბლები –
ცის გამშრალი ძუძუებია,
რძის მაგივრად რომ
ღამე მოწვეთავს.
1980



## ორი ტალღა

სულ ტიტველი,
სულ შიშველი,
ერთი ტალღა ევაა და,
მეორე კი ადამია.
ირგვლივ მწვანე ედემია.
მაღლა ჩუმად ამოდიან,
ზღვაში ველარ ეტევიან.

1966

## ა კ ა კ ი

ვით რუსთველი და ბარათაშვილი,
იგი პარნასზე იყო
წვეული,
მღეროდა...
მაღლა,
ზეცისკენ თავაწეული,
საქართველოს და ღმერთს შეცქეროდა.

1966

* * *

შეარყია სივრცე ექომ,
წამს შეიქმნა უგუნებოდ
პირმღიმარე ცა –
საწყალი.
ზღვაც მთელი დღე ზლუქუნებდა
და ვერაფრით დავაწყნარე.

1993

## ი მ ე დ ი

მე,
    ჩემს უძველეს კოლხეთს ვიპოვი,
            ცოტა უფალმაც
                    თუკი მომხედა.
რადგან ხეოპსი თავს რომ მავედრებს,
მთელი ეგვიპტე –
            მიჩანს კოლხეთად,
            მივალ წარსულთან
                        შესახვედრად.

1961

## შემოდგომა ზღვაზე

ისე, როგორც დანაპირებს,
მოიტანს და მღვრიე
ტალღებს,
კვლავ ამოყრის ქარი ძეძვად.
და შიშველი სანაპირო,
მომლოდინეს –
მოჰგავს მეძავს.

1962

## დედამიწა

ეს დედამიწა ჩანგია დიდი,
რომელიც უფალს
მთვარის ლარად,
შეუქმნია დიდიხნის უკან –
და მილიონი ასწლეული
გაუბამს ლარად –
და დღეს შენ მასზე
უკვდავ „კოლხურ ფსალმუნებს“
უკრავ...

1999

* * *

ღამეს იხდიან ღრუბლები,
ცა ვარსკვლავებით ირთვება,
ნისლი აღმოხდათ
ხეობებს.
და ქარით მთვრალი ზვირთები
ზღვის ბუნაგებში
ღრეობენ...

1971

## უეცარი ქარი ზღვაზე

უცებ გამოტყვრა ქარი საფრიდან
და ვითარც ქორი კრუხის
საბუდარს.
ზღვას კვლავ დააცხრა სხვა
სიმძაფრით და,
პატარა ტალღა ვითა წიწილი,
აიტაცა და სადღაც გაფრინდა.

1963

## ციხეები

რწმენის ბილიკებით ციხეები,
მთის მაღალ მწვერვალებზე
ასულან.
ცრემლებით სოველია ლოდები.
დამდგარან ტაძრები წარსულად
და ლამაზ მომავალს
ელოდებიან...

1986

* * *

ზიხარ ზღვისკარად და შენს ბედს
წყევლი,
თუმც კარგად მოჩანს
ჰერკულესის* თეთრი სვეტები.
აღარ გასვენებს ღრიანცელი
მიწის ბელტების.
წინ ცეცხლია და (ვიმეორებ)
უკან მეწყერი,
სად გინდა წასვლა!
სამყაროში რომ ვერ ეტევი?!

2001

---

* **P.S.** ჰერკულესის სვეტები – გადატანითი მნიშვნელობით სასურველ მიზნამდე მისვლას ნიშნავს

* * *

კოლხეთის დიდი წარსულიდან
უხმოდ მოსული,
ზვიადი,
მაგრამ ასე კეთილი,
სხვა პლანეტებზე –
სად ვარსკვლავთა ყრია
ნახერხი,
ჯერ იქ გაფრენას ველარ ახერხებ,
ცისქვეშეთში ხარ გამოკეტილი.

1979

* * *

ქუხილის ხმით დამფრთხალები –
ეს ღრუბლები გავეშებით,
სანამ ციდან აიშვებენ.
ათამაშებს ელვის თითებს
ღამე,
მნათთა კლავიშებზე.

1966

## შიში

შურით და მტრობით შემოყინული
ლოდინის ლოდი,
ვერა, ვერ გალხვა.
ყოფნაც მოგწყინდა ჩრდილში.
გამოხველ მზეზე...
და აი, ახლა,
გკლავს უკვდავების შიში.

2009



## მ ა შ ი ნ

ატმებს და ტყემლებს –
                    თეთრი ემოსათ,
            უფლის ენაზე ჰყვაოდა ვაზი...
თითქოს და პონტოს ვედექ ნაპირთან,
მაშინ,
    მედეა, როცა ატირდა
        ჩუმად...
    ეთხოვებოდა კოლხეთს და ფაზისს.

1969

* * *

შორეთს მიმავალ ათასწლეულებს –
ასწლეულები ტანზე
ალღვებათ,
რადგან ჟამია ყოვლის მოთავე,
ოცდაცამეტი საუკუნეა,
შავითმოსილი პონტოს ტალღები,
რომ კოლხთა ოქროს წარსულს
შფოთავენ.

1969

**ვალი**

გრძელი ღამეებით მიმოკლებს დღეებს,
დიდი სინათლით –
მიბნელებს სივრცეს.
ვიცი რომ ჩემსკენ უჭირავს თვალი.
მოვიდეს მალე!
სიცოცხლეს მივცემ!
და არ მექნება სიკვდილის
ვალი.

2007

## ქუთაისში

შიშველ-ტიტველი მომდევს სიცივე,
შორით მიგზავნის სითბოს
გეგუთი.
მივყვები შარას მე საფიჩხიის.
მე შენ მიყვარხარ!...
შენ სხვას ეკუთვნი!
და მეკიდება ცეცხლი ფიჩხივით.

1986

## ს ი ნ ა ნ უ ლ ი

სინამდვილის ნაშიერებს,
პონტოს პირას ნაშობ
მითებს,
აღარ ვენდე და არ ვქმე,
მე ამაში ბრალი მიდევს.
და წარსულში მიტომ ვქებ –
კოლხეთის დიდ ცას და მინდვრებს.

2001

* * *

სიცოცხლეს უდარაჯო –
gავალია
და მიტომ გიწევს ღამეთა თევა.
მთვარე –
ადამია,
და მზეა ევა,
ვარსკვლავები – მათი შთამომავალია.

1970

* * *

მიდის და თან მიჰყვება
დარდი,
როგორც იარა.
თუმცა თავის ნაშიერს,
ტოვებს დედნის ასლად.
და ვერ გაუგია რა:
რადა იყო ამ სოფლად
მოსვლა,
ანდა წასვლა?!

2005

* * *

ღმერთთა სიავეს და უღმერთობას,
ჟამი კვლავ ათოვს
მთოვარის კეფას.
ჩანან მთიები, როგორც ნიშნები.
და გარდასული ღამეები
სიშორეს ყეფენ
და ძველ კოლხეთის დიდ წარსულში
აღარ მიშვებენ.

1968

## მარტვილის ტაძარი

ცამდე ამაღლებული
და ღმერთივით მართალი –
დგას ტაძარი მარტვილის.
ხეებს მოსავთ ზამთარი
ტანზე –
ქრისტეს კვართივით.

1969

* * *

როცა ოქროს ნაკვერჩხალით
ელვა ელვას გაეკიდა,
მეხმა სივრცე დაარბია.
და მშიშარა ვარსკვლავები
ცის მინდორზე –
კისრისტეხით გადარბიან...

1969

## კოლხი ერეხეთიდან

ოქროს ჯაჭვით მიაბამდა
კოლხი ოლექჭკანდარეს,
ულაყს მერე ხედნიდა.
მე ვარ მერეხამდელი[1]
კოლხი –
ერეხეთიდან[2].

1966

[1] მერეხი (მეგრ.) – წარღვნა
[2] ერეხეთი – წარღვნამდელი კოლხური ქალაქი,
თანამედროვე ერაყი.

## აზრის შეცვლა

*„ზღვაში მისროლეთ!*
*სასაფლაო ყველაზე დიდი,*
*პოეტებს შორის მე ერთს მექნება“.*
***ვაჟა ეგრისელი***

ვარსკვლავთა კიბეებს მივყვები,
მზის შვილს,
მზე მომდევს ამინდად.
და ვითარც ან-მარეს•,
ზღვა არა,
ცა მინდა –
სამარედ.

1969

• ან-მარე – ცის შვილი (კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) მითიური ხელმწიფე (5185-5120).

* * *

შავად რომ ატყვია ცას ღრუბელი,
ჩემი კოლხი დედის ნაკვნესია.
და მისი გამფანტავი ქუხილი,
რომელსაც უფალი უხუილავს,
ჩემი,
და ჩემი აპექსია•.

1972

• აპექსი (ლათ) – მწვერვალი (ასტრ.)
**P.S.** ცის წერტილი, რომლისკენ მოძრაობს მზის სისტემა.

* * *

უძილობამ მთელი ღამე,
ფიქრი ვერ მომიცილა
და ჩამძახის –
ყურში ქუშად
– სიკვდილს კიდევ არა უშავს,
სიცოცხლე კი,
აღარ მყოფნის სიცილად.

2004

* * *

ზღვისკარად უცებ ჩამოდგა მწუხრი
და ახლა მთვარე,
სულ ერთი ციდა,
სიმყუდროვეს და სითბოს ჩვეული,
ვარსკვლავთა ოქროს კიბეებით
ჩამოდის ციდან,
წვიმის ქვეყნიდან
ჭექა-ქუხილს გამოქცეული.

1971

ყოროფა რომ გაიტაცა
ზევსმა,
წამსვე კუნძულ კრეტას
ჩასვა ჩუმად და ჩაკეტა.
და გავიდა დრო და ხანი,
ყოროფა• კი ბებო გახდა
დიდ პრომეთე – ამირანის.

1970

---

• ყოროფა (მეგრ.) – სიყვარული, კოლხეთის მეფის ასული, მინოსის დედა.



* * *

(ვარიანტი)

ალბათ სულია დაღუპული
მეზღვაურების,
დასალიერთან ცას რომ ანათებს.
როცა მზეს მწუხრის ვარსკვლავები
გამოთიშავენ.
და მტკვარს უგზავნის თოლიების
სპეტაკ ბარათებს,
ჩემი შავი ზღვა დატანჯული
თავის სიშავით.

1969

* * *

მთიელ წარმართ ქართველებს,
წინ უძღოდათ
ბრძოლის ჟამს,
უფლის ხელით ნახატი:
„იხინჯა“ და
„ლომისა“,
„გუდანი“ და „ხახმატი“.

1974

* * *

ბნელეთის კუპრში იწვა,
ებრძოდა ქარს და ქაოსს,
ელვა, სიკვდილის ფერი,
რაც დაავიწყდა მიწას,
ცას ახსოვს –
ყველაფერი.

1986

* * *

ნისლების კაბა დახეული,
ბნელ ნაპირთან
ერთი ტალღა,
არ ნებდება ქარს –
საჭურისს.
შავი ზღვაა – ამირანი,
კოლხურ მიწას მიჯაჭვული.

1966

* * *

წუთები და წამები –
ქვესკნელს დაბმულ ჟამთა დევს
ისევ ცვივა ბეწვებად.
უხმობ,
მაგრამ არ ესმის.
ზესკნელისკენ გეწევა,
ხილვა უზენაესის.

2001

* * *

არც ხევსურეთს და არც თუშეთს,
ორიოდე წლის სიცოცხლე,
აღარ უღირთ მგლების შიშად.
მთის ფერდობზე მოკუნტრუშე –
ბუწს[1] და აზმანს[1],
შაქს[3] და
შიშაგს[4].

1976

---

1234 ცხვრის სახეობა.

## ვარსკვლავები და ყაყაჩოები

ქართლის ზეცაში ვარსკვლავებს,
ო, რა მაღალი სხვენი აქვთ.
მიწაზე ყაყაჩოებს კი,
თავიანთი წვრილ კანჭების
და სიწითლისა რცხვენიათ.

1979

* * *

„კოლხურ ფსალმუნთა“
მზე და სინათლე,
წყვდიადით მოსილ
გზას გაუნათებს,
ამ წუთისოფლად სტუმრად
წვეულებს.
და მერე ალბათ, საგზლად ეყოფათ –
შორეთს მიმავალ –
ათასწლეულებს.

1993

* * *

სიკვდილის პირს მისულებს,
მშობლიური ზეცისთვის –
უნდათ თვალის შევლება –
სიყვითლით დაავადებულ
ფოთლებს...
რა ეშველებათ!

1991

## ენქი

თქმულებით და მზით მოსილი,
შენი ჩრდილი ბნელში
იწვა,
მაგრამ მადლით წამოდექი;
მერე მამამ ცად და
მიწად,
გაგაბრწყინა, როგორც ენქი*.

1968

* ენქი – აია ქართების – ეროვნული გმირი.

* * *

ეს ხმები ქუხილის ნუ გგონია,
ჰეფესტო უროს სცემს
და ცის ცივ ქურაში –
მრგვალ მთვარეს აზრტყელებს.
შენ კი მიწაზე „ფსალმუნებს“
კვერავ, და
ათასწლეულთა გარტყია სარტყელი.

2004

* * *

უფრო ნეტარებაა,
სულით,
ხორცით – ერთიან,
რაც უფრორე მეტს იწვი.
– სიყვარული ღმერთია...
წარსულიდან ხმა ისმის,
იოანე პეტრიწის.

1969

## სიყვარული მისნური

იმ ცბიერმა ბერძენმა,
დააქცია ქვეყანა,
დიდებამდე მისული,
როს კოლხ ასულს შეყარა
სიყვარული...
მისნური.

1977

* * *

გაზაფხულის დღეები,
ხეთა კენწეროებზე –
მწვანე კვირტებს ნასკვავენ –
სითბოთი და ალერსით.
მთვარე, როგორც ჰეროდე,
ნათელს უქრობს თვალებში,
ახალშობილ ვარსკვლავებს.

1980

## კ რ ე ტ ა ზ ე

სამი ათასწლეულის მერეც,
კრეტის კუნძული
მოჩანს კვლავ ბაღნარივით.
და მოისმის იქიდან –
მინოტავრის ბღავილი.

1970

* * *

სიხარულის გაწყობილი,
სასოების გიდგას ტაბლა,
ანგელოზნი მღერიან.
და „მზის თუალი“ გიმზერთ
ალბათ,
ცა და მიწა,
ნათლისღების ფერია.

1989

* * *

პონტოს ზვირთთა ნაქსოვი,
„კოლხური ფსალმუნების“
აფენია ხავერდი
და ყოფნა საამოა,
მთაზე,
მე რომ აველდი,
აწ ვერავინ ა მ ო ვ ა.

1978

* * *

გაზაფხულის დღეებმა,
სადღაც გადაკარგული
სიხარული მომგვარეს
და თვალები ორბის.
სიყვარული აბრუნებს –
მზის და მთვარის
ბორბლებს.

1986

* * *

იოროდანიის ნაპირზე,
ორზე მეტ ათასწლეულის იქით,
როდესაც შებინდდა,
სოლომონის ხმა გაისმა –
მისი „ქებათ-ქებიდან“.

1966

* * *

სიმყუდროვეში დამდგარ
                    სინას მთებს,
ცოდვა – ბრალის ცა ეჭირათ მხრებით.
უცებ წარსულის
            გაიღო კარი
და გოლგოთიდან მოისმა ხმები:
            „...ჰე, თუ ღმერთი ხარ,
                    გადმოხე ჯვარით!“

1981

* * *

იქედნეთა მოდგმისგან –
დაცოფილს და
დაგესლილს,
მერე შიშით ატანილს,
ზოგჯერ ერთად ჩაგესმის –
ხმა უფლის და
სატანის.

2006

## ხილვა: მაცხოვარი

მეფე ჰეროდეს შიშისგან
გალილეი ზანზარებს,
იუდეის ბეთლემში გაშლილია
ცხოვარი.
უფლის ანგელოზები უგალობენ ნაზარეთს –
და ვჭვრეტ ბეთანიისკენ,
ვით მიდის მაცხოვარი,
რომ მკვდრეთით აღადგინოს –
ხუთი დღის მკვდარი ლაზარე.

1981

## ნ ა ს ა კ ი რ ა ლ ი

მოწყენილი ნისლის ფთილა,
მიუყვება გზას ფაკირად
და აპრილის თეთრი დილა –
პირს უკოცნის ნასაკირალს.
და გურიის მთიდან რეკავს
ხმები მგოსნის მეეტლის;
არც მაცი ჩანს,
და არც ეკა,
დგას დღე ოცდამეერთის.

2001

* * *

ვით ნათელში სიბნელის,
სიცოცხლეში –
სიკვდილის ხელი
მუდამ ერია.
ყოფნა ამ საწუთროში,
ჩემთვის არაფერია.

2006

* * *

ცის უსამანო დარბაზში
ზის უფალი და
არ ესმის –
მინავლული ხმა სნეულთა.
საღ-სალამათებს ჰადესში –
უხმობს ბრბო
ეშმაკეულთა.

1999

* * *

ამ ტიალ წუთისოფელში,
ძნელია მისი ლოდინი,
რაც მიწამ გულში მიმალა.
ველარ აგნებენ ცოდვილნი
გზას –
ტაძრისკენ მიმავალს.

1993

## ხილვა: ქრისტეს დროინდელი იერუსალიმი

ჩრდილოეთით მიილტვის გზა
გულდამწვარ გოლგოთის,
ზეცას ფერი ედება –
ხან ვარდის და ხან იის.
და მე, როგორც იესო –
მოწყენილი გავცქერი:
ზეთისხილის მთასა და
ლურჯ ბაღს გეთსემანიის.

1964

* * *

დღეები სიცოცხლეს მპარავენ
და მიბურდავენ შარას.
ცამ რღვევა დაიწყო
ღრუბლებით ნაშენმა.
და გრგვინვა – გრიალით ქუხილი,
არა,
უფალი მოეშურება საშველად.

2003

* * *

მწუხრისას ცის ტაძარში,
უფლის ხელით იღება –
მთვარის თეთრი სარკმელი,
ვით ახდენა ოცნების.
ოქროს საცეცხლურიდან,
რომ დის კვამლი საკმევლის,
განა მართლა კვამლია,
არის წმიდა ლოცვები.

1987

* * *

იალბუზის მთაზე დგახარ –
„უფლის კრავი“,
ღვთის მორჩილი,
მეხთა-ტეხა ცას აყრუებს.
შენ კი ისევ –
ხელმოჩრდილვით,
დედამიწას გადაჰყურებ.

2007

* * *

უზენაესის შიშით მოცული,
ათას სიავეს გულში
გაივლებს–
ხმა ავაზაკის...
და მასონების.
მაინც სიცოცხლის ისხამს ყვავილებს –
მადლით მოსილი ხე
სასოების.

2003

* * *

გალობის და ჩანგთა ჟღერის,
და ხმა გესმის ქერუბიმთა,
შენც არ მინდა დარჩე ვალში:
– ცისკენ! –
შენი გეზი არი.
ეშმას არა, მსურს ცად გაშლილ –
უფლის სუფრას ეზიარო.

2003

* * *

დავიწყების დანისლულ მთებიდან,
კოლხეთში მითებს და
ლეგენდებს,
ვითარცა ცხვრის ფარას მოდენი.
მედროშევ –
შენ! –
„ოქროს საწმისის“,
რაინდო! – „გრაალის ორდენის“.

1968

## პანდორას ყუთი

ფიქრია,
სინათლით მოცული,
დღეს,
ღამე თეთრად რომ უთია,
და ფერი რომ დაჰკრავს სინედლის.
სამყარო –
პანდორას ყუთია,
მთვარე დევს შიგ,
ვითარც იმედი.

1961

* * *

ვით დავითმა „ფსალმუნებით“,
შენებრ გულით,
ვინ უმღერა,
კოლხეთსა და იბერიას.
თუ არა შენ,
სხვამ ვინ შექმნა,
პოეზიის იმპერია!

1972

* * *

სადღაც,
ათასწლეულთა იქით,
მოჩანს მწვერვალი,
ვით სამყაროს სათავე! –
იქ „კოლხური ფსალმუნები“ ელვარებს,
ვით სამყაროს „ციურგონთა
ნადავლი“.

1998

## კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი

კოლხურ ღამის წყვდიადში –
შვიდიათასწლეულის იქით
სანთლებს ანთებენ,
მაგრამ მაინც იქ ბნელა:
არ ჩანს რეა-კიბელა:
და არც კორიბანტები*.

1995

---

* კორიბანტები – დედაღვთაება რეა-კიბელას ქურუმ-ღვთაებები.
P.S. ჰელიოსის ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის აიეტის ნახევარძმები)

**რ ა ტ ო მ?!**

„–მამაშენს ძროხები ჰყავს?!
წადი სოფელში და წყემსე!“
„ახლობელი“ პროფესორის რჩევა!!“

დღესაც ვერ გამიგია,
რას მერჩოდნენ ოხრები!
(რად ცდილობენ წუთები,
ჭრილობა
გამიმრთელონ!
როცა მზეს და სიცოცხლეს მიგალობენ
შაშვები!)
რატომ სურდათ ძროხების –
მწყემსად ჩემი გაშვება,
ვით ჰერაკლეს კითერონს!

1961

* * *

გადის ათასწლეული...
და თხოვ ცეცხლის ღვთაებას,
დიდ ზევსის ძე –
ჰეფესტოს,
ვითარცა კოლხ სარკინოზს,
რომ ერთხელ შეგარკინოს –
პოეზიის მეფესთან.

1972

## ხილვა: სოლომონის ტაძარი

ხსოვნის ფოთლებს აფარებენ
ქრისტეს ნაფეხურებს –
გზები –
ბეთლემის და იერიხოს
და ჟამმა ვერ მონისლა:
ვუმზერ ზეთისხილის მთიდან
ტაძარს –
სოლომონისას.

1983

## Კ Ო Ლ Ი Ზ Ე Უ Მ Ი

მზისა და მთვარის დღესასწაულები,
აიეტიდებს[1],
ეჰ, რამდენჯერ უზეიმიათ.
აი, ამიტომ, „კოლხური ფსალმუნები“ –
ქართული სულის კოლიზეუმია[2].

1997

---

[1] აიტიდები – ჰელიოსის (მზის ღმერთის) შვილები.
[2] კოლიზეუმი (იტალ.) – კოლოსალური, უზარმაზარი.

* * *

თვალებს მზეს არ აცილებ,
მიტომ ათასწლეულებს
მეხთა-ტეხით ჩაუვლი,
თუმც მოგდევს მაცილი*,
როგორც დავითს –
საული.

2003

---

* მაცილი – ავი სული.

* * *

ლოცვითა და ვედრებით,
(ძველებიც და
ახლებიც),
ვინც აჟღერებთ სიმს ქართვლის,
დიდ ტახტს მიეახლებით –
მადლისა და
სიმართლის.

2008

* * *

არც ბუდა ჩანს,
არც ქრისტე!
არსთგამრიგემ აქ მოსვლით,
ეს რა ცოდვა აგვკიდა?!
რომ სატანის გზას მივსდევთ...
გვიხსნის –
„ბჰაგავატ-გიტა“.

1993

## ხილვა: მგზავრობა გალილეას

ორი ათასწლეულის მერე,
იუდეიდან,
ვითარც მაცხოვარი,
მივალ გალილეას,
სამარაზე გავლით
და...გზა არ ილევა..

1982

* * *

კოლხთა წარსულს კარს ვუღებ
და მე ადრე ვიძინებ:

იქნებ სიზმრად წავწყდე –
ქასქებს[1] და
კარდულებს[1],
ბექირებს[3] და ბიძირებს[4].

1964

1,2,3,4 პრეისტორიული კოლხური (ქართველური) ტომები

.

* * *

სიხარულით მოყვავილე –
            ჩემი ეზო და
                    ჭიშკარი,
სანამ აივსება ნისლით,
            მანამ სულიწმიდის ქნარი,
            ღვთის მადლი და
                    ლოცვა მიხსნის.

1969

## დავით მეფსალმუნე

ორი ათასწლეულია,
ბრძოლითა და ჟამთან დავით,
ჩანგთა ჟღერით
მოდის დავით!
(შიმშერივით ხმა უელავს.)
და თან ახლავს
აარონი და
სამუელი.

1971

## ხილვა: ნათლობა იორდანეში

მეჯლისი აქვთ ანგელოზებს...
და მზე თავზე დანათის
მიწას,
ცრემლით გალეშილს.
ორი ათასწლეულის მერეც ვხედავ
თვალნათლივ:
იოანე,
ვით ნათლავს ქრისტეს
იორდანეში.

1964

* * *

შენ სახელს ნათლად ჩამორეკავენ
ტაძრები ზარებს,
ჟამს დაბინდების.
და ვით ბერები და ვით ღადები,
შენს დიდ სიყვარულს
და შენს დიდებას –
ცად ვარსკვლავები იღაღადებენ...

2001

## მზის ჩასვლა

შეწყდა დედის გულისცემა
და საწყალი დედამიწა –
მზის გარშემო აღარ ბრუნავს:
ცა – შავს იცვამს...
და იხურავს –
შავი ღრუბლის თავსაბურავს.

1969

* * *

ზოგს აღარ ეყო ერთი სიცოცხლე
და ზოგმა კიდევ შეჰქმნა
ეპოქა.
მეტი რა ექნა, აბა მითხარით!
აღარ არიან ისიც ეყოფათ
და...
მკვდრებს აღარ განიკითხავენ.

2004

* * *

ჩასძინებია არესის ჭალას,
და წარსულიდან მოისმის
კვნესა.
ღამეს ცრემლებით ევსება უბე.
და ცა კოლხეთის ლესავს
და ლესავს,
მომხვდურთა გულის გასაგმირად
ვარსკვლავთა შუბებს.

1992

* * *

ჯოჯოხეთში მიმავალი,
ზღვის სული რომ
არის ქარი,
– აზრია ახლო მხედველთა.
რომ რქის საყვირს მოჰგავს
მთვარე,
იერიქონის კედელთან.

1962

* * *

ჩემმა გამჩენმა დაბადებიდან
მომცა სიკეთე,
რაც რომ ებადა,
მაინც გულს დარდის ცეცხლი
მედება:
მოდის დრო, როცა დაღამდება და...
აღარასოდეს
არ გათენდება.

2007

* * *

(ვარიანტი)

მოულოდნელად ჩამოწვა ბინდი
და ვარსკვლავების შეწყდა
წკარუნი.
თითქოს აქამდე უწყვეტლივ წვიმდა.
სანაპირო კი ზღვის
ცისფერ ტალღებს –
ისწორებს, როგორც ჩაჩაჩულ წინდას.



* * *

საქაოში მარად დარჩენის,
ალარ გვიტოვებს წამით არჩევანს,
თუმცა სიცოცხლეს
თავზე ვევლებით.
რადგან ჩვენ ვიცით
დღიდან გაჩენის,
ცისა და მიწის ჩვენ ვართ
მძევლები.

2003

* * *

კოლხებს –
ჰელიოსის ნაშიერებს,
სამყარო დედის რძედ შერგებიათ.
და მეუფება შვენით.
შენი ლექსები – აისბერგებია,
პოეზიის ოკეანეში მსხემი*.

2007

---

* მსხემი – მოხეტიალე

* * *

ეკლით კი არა,
დაფნის რტოებით,
მაღალი შუბლი მსურს
დაგიფარო,
რადგან ზღვისკარად –
კოლხეთში იშვი.
შენი თვალები არის უდაბნო –
სავსე სიცოცხლით,
მზითა და...
შიშით.

* * *

სახეზე ნისლის ჩადრს აფარებენ,
სხვა მოკრძალებით
და სულ სხვა რიდით,
და ღრუბლებს მიჰყავთ საწყალი მთვარე.
ცა – ქალწულივით წყნარი
და მშვიდი,
წვიმის ხემს უსვამს –
ვარსკვლავთა ქნარებს.

1971

* * *

მამა ადგომას მზეს სულ ასწრებდა
მოხუცს პერანგი ემოსა
ჩითის,
სანამ ქამარში წალდს გაირჭობდა,
ერთხელ მზის სხივმა
შემოყო თითი,
ჩვენი მეგრული ოდის ღრიჭოდან.
ეჰ, მამაჩემი!

1965

* * *

მთელი დღე ნარბენთ
და დამაშვრალებს,
ნაპირზე მიბმულ ნავებს
ეძინათ.
სადღაც ღრუბელი ჩანდა ფანტომად.
მოვარდა ქარი და აფრები
დააფეხმძიმა,
მერე ხელი კრა და
მიატოვა.

1970

* * *

ავი სულები სხედან წკვარამში
და დღე და ღამეს
ველარ არჩევენ.
სატევრებსა და დაშნებს ფერავენ.
და... ყველა მოკვდავს
სიკვდილი ჭირს –
დღიდან გაჩენის,
განკურნება კი შესძლო ვერავინ.

2001

* * *

ღელე სადღაც მიიჩქარის,
ნიავი კი ენას ვერ ძრავს.
გზა კი მიდის ოკრო-ბოკრო.
მოკლე კაბით მოჰგავს –
მეძავს,
გზისპირ მდგარი ციცქნა სოკო.

1958

* * *

მზით გასანთლული რწმენის თოკებით –
სინათლისკენ გვეწევა გრაალი
და უკვდავების მაინც
არ
გვჯერა.
მოკვდავთ, ისე ვით ცოდვა და ბრალი,
დაგვაქვს სიკვდილი –
ბოლო სასჯელად.

2007

* * *

‘მზიანი ღამის“ ცისქვეშეთში,
ლოცვით და შეწევნით
განგების,
ათასლწულებში გაძლებენ –
შენი – კოლხური მითებით ნაგები:
ზღვის ფსკერზე –
ციხე და კოშკები,
ხმელეთზე – პოეზიის ტაძრები.

* * *

ჯერ კი როდის...
　　ათასეულ წლების იქით,
როს ცოლ-ქმრული სიყვარული
შლიდა აფრას.
　　ორთა ტრფობა ამ დროს აქეს.
ჩვენიც ისე დარჩეს ზღაპრად –
　　ვით ჰექტორის და ღვთაებრივ
　　　　ანდრომაქეს.

1966

* * *

ღამეებიდან და წარსულიდან,
არავინ იცის,
თუ როდის მოხველ
და წყლის ღვთაებას მოუხმობ ფასის.
შავი ზღვა ხელში, უჭირავს
კოლხეთს,
ვითარც მზით სავსე გრაალის თასი.

1965

## ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ


წინასიტყვაობის მაგიერ ....................................5
ქინქლა......................................................................25
მთვარე, ვით ბეთხოვენი ....................................26
შეხედეთ ეგვიპტეს ..................................................27
მთვარე ნავია ქარონის.......................................28
ზღვა და ქარიშხალი .........................................29
***(ახლა ჟამთა ხავსი ფარავთ)...................30
***(ადიდებული მდინარეები) ........................31
ეთერი ......................................................................32
***(ვითარც სიყმაწვილისა).............................33
ღამის მსახური ......................................................34
***(ყიყინებს ნათელს მთიების მყვარი)..35
***(ანგელოზების თავის ქალებით)...........36
***(წამს გაიღება წარსულის კარი)..........37
***(ელვის ბილიკით ჩამომდნარი) .............38
***(სამშობლოს მტრებს და ორგულებს)............................................................39
კომეტებს და კვაზარებს..................................40
ხილვა: წარმართები მცხეთაში.....................41
მზის ამოსვლიდან-ჩასვლამდე.......................42
***(მამლის ყივილი მილეულ ღამეს.........43
ტირიფები ...............................................................44
***(შენ კი მეოციდან მოხველ ......................45
ვარსკვლავები – უფლის კრავებია............46

***(დრუბლების ურდომ გამთენიისას)....47
***(ხსენება ოქროს საწმისის)......................48
მარტი......................................................................49
***(როგორც ზღაპრები გველეშაპმა).......50
***(ჩემი ყოფნის ცის ტაძარში)...................51
ანატოლია..............................................................52
***(ხობისწყლის პირს ჭალას დამბა)......53
***(შორს)...............................................................54
ხილვა: გორგონა მედუზა................................55
საჯილდაო ქვა........................................................56
ელვა.........................................................................57
პოსეიდონი..............................................................58
პ***(წვანან დრუბლების შავი
ლოდები)..................................................................59
ხილვა: ბავშვობა.....................................................60
***(რომ მიცურავს ცის ოკეანეში)............61
როგორც იობი.........................................................62
პანდორეს ყუთი......................................................63
***(ქუხილს უცებ რომ ელვა გაექცა).....64
**(ჟამს მიმწუხრისას)..........................................65
***(პოეტის გარდა იცის არავინ)................66
ძველი კოლხეთი.......................................................67
***(მტერმა ვეღარ ამომგლიჯა)...................68
ისევ ტაო-კლარჯეთში........................................69

***(ქაოსიდან ნაშობი)........................................70
***(შენი ფიქრი ქორივით)................................71
***(გადიყრანტალა ცამ წვიმა)......................72
***(გარდასულთა დარდს და წუხილს)..73
ჩასძინებიათ დღესასწაულებს ......................74
გიგანტომანია..............................................................75
***(მოკვდავთა არა...).............................................76
***(ერთმანეთს ჩუმად ეფარებიან).............77
***(ეგვიპტე და ბაბილონი)..............................78
***(მილიონი წელია) .............................................79
წვიმა, ქარი, მზე და მთვარე)........................80
პოეტები .....................................................................81
***(სივრცეს რომ აზანზარებს)....................82
მზის ჩასვლა............................................................83
***(ბალახი არა...)....................................................84
ყაყაჩოები დიდგორზე..........................................85
***(ასე ყოფილა მოკვდავთა ხვედრი)......86
***(მეზობელი მეზობელს და...)....................87
სამშობლოში ...............................................................88
***(ასეა).......................................................................89
პოეტი ...........................................................................90
***(ჯოჯოხეთის ბჭესთან)...............................91
გეას, პოსეიდონს, ანტეოსს.............................92
მთვარის სონატა.......................................................93

მეტეხი, ნარიყალა, თბილისი ........................94
***(ისინათლა)........................................................95
კელტები და ბასკები ..............................................96
ენა მზის ღმერთ ჰელიოსის ...........................97
ნენანა ...................................................................98
***(ვარსკვლავთა ნაკვერცხლებით ............99
***(და ბოლოს ისიც...) ........................................100
ერთი ზვირთი ..........................................................101
უფლის ხელებით ნაგებს.................................102
კორიბანტები.........................................................103
***(მეხით დამფრთხალი...) ...............................104
სქური და დიოსქურები.......................................105
ვარსკვლავები დაგმარხავენ..........................106
თეთნულდის ღამე ..................................................107
***(შიშველ-ტიტველ ვარსკვლავებს)........108
***(აღმოსავლეთით...) .......................................109
სალხინოში ..............................................................110
***(მიმწუხრის შავი ჯოხის კაკუნით).....111
***(სიცოცხლედ და სიხარულად) ...............112
***(ცა გაშლილია...) ............................................113
***(ცის და მიწის სიყვარული) .......................114
***(პოსეიდონს ბაძავ) ........................................115
რეა და კიბელა .......................................................116
***(ვიცით, სიკვდილი უძლეველია) ...........117

***(სახელმა „ვაჟამ“...)........................................118
***(ციდან მუქარა ღმერთთა).........................119
***(მამა).........................................................................120
***(ერთბაშად არა)...............................................121
***(კავკასიონის მთით გადმომდგარი).....122
დემონები და სატირები.....................................123
***(წითლდება ზეცა აღმოსავლეთის.......124
***(შენ ხარ ჰელიოსის ძე)..............................125
***(ნისლის საცერში)..........................................126
***(მთიები).................................................................127
ზოგმა მგოსანი უწოდა......................................128
***(აჰა, ჩემი სასახლე)........................................129
ფაზისის პირას.........................................................130
სამი ფერია.................................................................131
მთა პოეტი.................................................................132
***(ვითარცა დავითს ლამისყანასთან)....133
***(მტერთან სულ იმარჯვებდნენ).............134
***(წყალში დამხვრჩალთა სულებს)........135
***(გადმომდგარან...)..............................................136
***(შორს...)..................................................................137
***(ხვდებოდა ათას ქარს და
ქარიშხალს)................................................................138
ოსირისი და იშთარი............................................139
ბიბლიური კოლხეთი...........................................140

რე-რა, რე-რო, ვო-რე-რა .......... 141
ქარიშხალი ზღვაზე .......... 142
***(სივრცეები გადმოფენენ) .......... 143
2000 .......... 144
***(ლეღვის თუ შიშის ტოტზე
შემჯდარი) .......... 145
***(ცამდე ღმერთივით ამაღლებული) .......... 146
ჰელიოსის ხარები .......... 147
ისე, როგორც ალკიდიმ .......... 148
***(დედამშობელ კოლხეთივით) .......... 149
კაენი და კითერონი .......... 150
ქალდეა .......... 151
***(ზღვა აუკლია ურდოს ქარების) .......... 152
ხილვა: ქორწილი კანაში .......... 153
***(სიყვარულით დაისრული) .......... 154
მყინვარი .......... 155
***(სამყაროს აბრეშუმის) .......... 156
***(უგზოდ გადაშლილ რწმენის
მინდვრებზე) .......... 157
ორი ტალღა .......... 158
აკაკი .......... 159
***(შეარყია სივრცე ექომ) .......... 160
იმედი .......... 161
შემოდგომა ზღვაზე .......... 162

დედამიწა .................................................................... 163
***(ღამეს იხდიან ღრუბლები)........................ 164
უეცარი ქარი ზღვაზე........................................... 165
ციხეები .................................................................... 166
***(ზიხარ ზღვისკარად) .................................... 167
***(კოლხეთის დიდ წარსულისიდან)....... 168
***(ქუხილის ხმით დამფრთხალები) ........ 169
შიში............................................................................ 170
მაშინ......................................................................... 171
***(შორეთს მიმავალ ათასწლეულებს).. 172
ვალი.......................................................................... 173
ქუთაისში................................................................ 174
სინანული .............................................................. 175
***(სიცოცხლეს უდარაჯო) ............................ 176
***(მიდის და თან მიჰყვება) ............................ 177
***(ღმერთთა სიავეს და უღმერთობას).. 178
მარტვილის ტაძარი.......................................... 179
***(როცა ოქროს ნაკვერჩხალით)............... 180
კოლხეთი ერეხეთიდან .................................... 181
აზრის შეცვლა ...................................................... 182
***(შავად რომ ატყვია ცას ღრუბელი) .. 183
***(უძილობამ მთელი ღამე)............................ 184
***(ზღვისკარად უცებ ჩამოდგა
მწუხრი)................................................................... 185

ყოროფა ............................................................ 186
***(ალბათ სულია დაღუპული
მეზღვაურების)............................................ 187
***(მთიელ წარმართ ქართველებს) ........... 188
***(ბნელეთის კუპრი იწვა) ........................ 189
***(ნისლების კაბა დახეული)..................... 190
***(წუთები და წამები)................................ 191
***(არც ხევსურეთს და არც თუშეთს....... 192
ვარსკვლავები და ყაყაჩოები .................... 193
„კოლხურ ფსალმუნთა“ ............................ 194
***(სიკვდილის პირს მისულებს)................ 195
ენქი .............................................................. 196
***(ეს ხმები ქუხილის ნუ გგონია)............. 197
***(უფრო ნეტარებაა)................................. 198
სიყვარული მისნური ................................. 199
***(გაზაფხულის დღეები)...........................200
კრეტაზე .......................................................201
***(სიყვარულის განწყობილი) ..................202
***(პონტოს ზვირთთა ნაქსოვი)...................203
***(გაზაფხულის დღეებმა)..........................204
***(იორდანიის ნაპირზე).............................205
***(სიმყუდროვეში დამდგარ სინას მთებს)206
***(იქედნეთა მოდგმისგან) ........................207
ხილვა: მაცხოვარი.......................................208

ნასაკირალი..........................................................209
***(ვით ნათელში სიბნელის)........................210
***(ცის უსამანო დარბაზში)..........................211
***(ამ ტიალ წუთისოფელში)........................212
ხილვა: ქრისტეს დროინდელი
იერუსალიმი ......................................................213
***(დღეები სიცოცხლეს მპარავენ)...........214
***(მწუხრისას ცის ტაძარში).......................215
***(იალბუზის მთაზე დგახარ).....................216
***(უზენაესის შიშით მოცული)...................217
***(გალობის და ჩანგთა ჟღერის).............218
***(დავიწყების დანისლულ მთებიდან)..219
პანდორას ყუთი ..............................................220
***(ვით დავითმა „ფსალმუნებით“)...........221
***(სადღაც)..........................................................222
კორიბანტები......................................................223
რატომ ..................................................................224
***(გადის ათასწლეული).................................225
ხილვა: სოლომონის ტაძარი .........................226
კოლიზეუმი.........................................................227
***(თვალებს მზეს არ აცილებს)..................228
***(ლოცვითა და ვედრებით).........................229
***(არც ბუდა ჩანს...)..........................................230
ხილვა: მგზავრობა გალილეას ....................231

***(კოლხთა წარსულს კარს ვუღებ).......232
***(სიხარულით მოყვავილე)..........................233
დავით მეფსალმუნე.............................................234
ხილვა: ნათლობა იორდანიაში.....................235
***(შენს სახელს ნათლად ჩამორეკავენ).236
მზის ჩასვლა.......................................................237
***(ზოგს აღარ ეყო ერთი სიცოცხლე)..238
***(ჩასძინებია არესის ჭალას).....................239
***(ჯოჯოხეთში მიმავალი)..........................240
***(ჩემმა გამჩენმა დაბადებიდან)................241
***(მოულოდნელად ჩამოწვა ბინდი).........242
***(საქაოში მარად დარჩენის)...................243
***(კოლხებს)..........................................................244
***(ეკლით კი არა)..........................................245
***(სახეზე ნისლის ჩადრს იფარებენ)....246
***(მამა აღგომას მზეს სულ ასწრებდა).247
***(მთელი დღე ნარბენთ)...............................248
***(ავი სულები სხედან წკვარამში).........249
***(ღელე სადღაც მიიჩქარის).......................250
***(მზით გასანთლული რწმენის
თოკებით).......................................................................251
***(„მზიანი ღამის" ცისქვეშეთში).............252
***(ჯერ კი როდის...)............................................253
***(ღამეებიდან და წარსულიდან).............254

# მადლობა

„ქართული მწერლობის" 100-ტომეულის ავტორს, ქართველ [illegible] [illegible], ქართული პოეზიის რაინდს, საერთაშორისო [illegible] [illegible] [illegible] ვაჟა [illegible] [illegible] [illegible] გამოცემისთვის „ვეფხისტყაოსნის" [illegible] 3-ე ტომის [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] 4-ე ტომის [illegible], [illegible] 100-ტომეულის გამოცემაში გაწეული [illegible] თანამშრომლობისათვის.

2020 წ.

# ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

## 100 ტომად
## ტომი 20

**VAZHA EGRISELI**

# "KOLKHURI PHSALMUNEBI"

**ONE HUNDRED VOLUME**
**VOLUM 20**

გამომცემლობის
რედაქტორი – **ციცო ერისთავი**
მხატვარი – **სპარტაკ ცინცაძე**
მხატვრული რედაქტორი – **ირაკლი უშვერიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ნანა დუმბაძე**
კორექტორი – **მარი ეგნატაშვილი**
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – **ნანა და დათო ყანდაშვილები**

გამომცემელი – **ვაჟა დოლბაია**

**ფასი 20 ლარი**

**თბილისი**
**2020**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com